

573  
929/2

კომუნისტური პარტია საქართველოს

საბჭოთა  
საინჟინერო

# საბჭოთა სამეცნიერო

ს.ს.ს.რ.  
იუსტისიის  
მრეწველობის  
მრეწველობის  
მრეწველობის

## შინაარსი

- თ. დოლიძე—საბჭოთა არჩევნები და პროკურატურა სოფლად.
- ი. ტალახაძე—სასამართლოს ამოცანები კულაკთან ბრძოლის ფრონტზე.
- ი. როინაშვილი—სისხ. სამართ. საპროცესო კოდექსის შესახებ.
- კ. მიქელაძე—საოჯახო შრომითი მეურნეობა და შემკვიდრების საკითხი.
- მ. ქორქაშვილი—უფარვისობის გამო ადმინისტრაციის მიერ მოხსნილ მომუშავეთა სასაკითხის სასამართლოში უშუალოდ განხილვის შესახებ.
- ი. აფაქიძე—ყაჩაღური თავდასხმა და ბანდიტიზმი რ.ს.ფ.ს.რ.-ისა და საქ.ს.ს.რ.სისხლის სამართლის კოდექსებით.
- ევლ. ენუქიძე—თემსაბჭოს პრეზიდიუმების უფლებათა შესახებ მმართველობის დარგში.
- ს. ქავთარაძე—როგორია რევოლ. კანონიერება აფხაზეთში და როგორ ტარდება ის.
- ვლ. დუმბაძე—საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპები და მეთოდები.

იურიდიული დახმარება  
კანონმდებლობის მიმოხილვა  
ოფიციალური ნაწალი

# № 1

# 1 იანვარი

# 1929

54



34(05)  
613

# საბჭოთა სამართალი

საქართველოს სოციალისტურ  
საბჭოთა რესპუბლიკის  
იუსტიციის სახალხო  
კომისარიატის ორგანიზებული  
==== ყურნალი ====

წელიწადი გეორგი



## № 1

პასუხისმგებელი რედაქტორი შ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი

სარედაქციო კოლეგია {  
ი. ტაღახაძე  
თ. დოლიძე  
ბ. ბერაძე  
ვ. ვ. შ. ნუცუაძე  
კონს. მიქელაძე  
მ. მ. მ. მ. მ. მ.

თ. ლოლიძე.

## საბჭოთა არჩევნები და პროკურატურა სოფლად

საბჭოთა გადარჩევის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო. ჩქარა ეს კამპანია ფართე ხასიათს მიიღებს და ადგილობრივი ორგანოები მალე წარსდგებიან ამომრჩევლების წინაშე თავანთი მოღვაწეობა-მუშაობაზე ანგარიშის ჩასაბარებლად. ამ ანგარიშის ჩაბარების დროს უნდა აღინიშნოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, უნდა დავაფასოთ საბჭოების და მისი აღმასრულებელი ორგანოების წარსული მუშაობა. მიუდგომლად, გულწრფელად და ობიექტიურად უნდა ავსახოთ, როგორც ჩვენი შეცდომები, ისე მიღწევები საბჭოთა და სამეურნეო ფრონტზე. ამ ანგარიშის ჩატარების დროს ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული პროლეტარული თვითკრიტიკა. მხოლოდ სალი კრიტიკის საშვალებით შეიძლება ჩვენი საბჭოთა ორგანოების გაჯანსაღება. ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებულ ბრძოლის პროცესში ჩვენი სოფელი დღეს ფენებით არის დაყოფილი. ამ ფენებს შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ერთი მხრით სდგას კულაკობა და მეორე მხრით კი ღარიბი გლეხობა საშვალო გლეხობასთან დაკავშირებით. ამ ორ მთავარ ბანაკს შორის განუწყვეტილი ბრძოლაა გამართული. ეს ბრძოლა ყოველთვის ერთი ხასიათის და ერთი სახის არ არის. ის ხან აშკარა და ყველასათვის თვალსაჩინოა და ხან კი ფარული, შემპარავი, გარეგნულად თითქოს მზრუნველობით გამოწვეული. ამ უკანასკნელ ხერხს ყოველთვის კულაკი მიმართავს, ის ცდილობს ღარიბებს გლეხს ფულისა თუ ხორბლის სესხებით „ხელი მოუწყოს“, სამუშაო იარაღიც ათხოვოს, მაგრამ სამაგიეროდ მისგან ღებულობს განუსაზღვრელ პროცენტებს და ამნაირათ ერთი სამად აძრობს ტყავს.

ეს გახლავთ მევახშეობა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ სამწუხაროდ სუსტი არის. ზემოთ აღნიშნულ ხერხს მევახშე-კულაკი უმთავრესად მიმართავს საბჭოთა არჩევნების მოახლოების დროს. ეს მას სურს გამოიყენოს პოლიტიკურ ბრძოლის იარაღად, ამით უნდა ხმები იშოვნოს და საბჭოთა აპარატში გაძვრეს თვითონ, ან გაიყვანოს ისეთი პირი, რომელიც მისი ყურმოკრილი მონა იქნება.

ამ კლასიურ ბრძოლაში ღარიბისა და საშვალო გლეხკაცობის კულაკებისაგან დასაცავად და ამ უკანასკნელთა დასამარცხებლად და გასანადგურებლად ჩვენ სოფლად გვაქვს პროლეტარული დიქტატურის ორგანოები; ამ ორგანოების ერთ ერთი თვალსაჩინო ნაწილად უნდა ჩაითვალოს მაზრის პროკურატურა. სწორედ ეს ორგანო არის მოწოდებული დაიცვას სოფლად სწორი კლასიური ხაზის

გატარების პოლიტიკა. მაზრის პროკურატურა, ეს საბჭოთა ხელისუფლების თვალთვალის რომელიც ზედამხედველობას უწევს ყველას, რათა რევოლუციონური კანონიერება სწორად ტარდებოდეს ცხოვრებაში და არ მახინჯდებოდეს. თუ ამ საპატიო მოვალეობის ასრულება ყოველთვის საჭირო არის, მით უფრო საჭიროა მისი აღსრულება და უნაკლოთ გატარება სწორედ საბჭოთა გადაარჩენის კამპანიის ჩატარების დროს. ამ გადაარჩენის დროს ხდება პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების განახლება-გადახალისება. როგორც კულაკი, ისე საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტერნი და ორგულნი ცდილობენ მოახერხონ საბჭოთა აპარატში შეძრომა. მაზრის პროკურორმა მთელი თავისი უფლებები უნდა მიმართოს კულაკის ასალაგმავად და გასანიარაღებლად. მან კულაკს გასაქანი არ უნდა მისცეს, მან კულაკს სამუდამოდ უნდა დაუკარგოს მისი პოლიტიკური ბრძოლისა. აშკარაა პროკურორის ამ მხრით მუშაობის განმარტოებულად წარმოება წარმოუდგენელია. ის ამ მუშაობას უნდა ატარებდეს ხელი-ხელ ჩაკიდებული ადგილობრივ სამაზრო ხელისუფლების ორგანოებთან ერთად. არჩევნების დროს პროკურორი უნდა მუშაობდეს როგორც პარტიის დავალებით, ისე უმთავრესად თავისი თაოსნობით. მართალია პროკურორი მაზრაში ერთი არის, მაგრამ თუ ის ენერგიას და უნარს გამოიჩინებს მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს.

რას უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება მაზრის პროკურორმა? აი რას: არჩევნების დროს დამჭირებლები შეეცდებიან მოჯამაგირებები არ გაანთავისუფლონ მუშაობიდან და მით არ მისცენ საშუალება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. მაზრის პროკურორი ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომა, რათა ასეთ რამეს ადგილი არ დაუჩრჩეს და თუ სადმე აღმოაჩინებს, დამნაშავე კულაკი-დამჭირებელი თანახმად სისხ. სამ. კოდ. 141 მუხ. პასუხისგებაში უნდა მისცეს.

პროკურორმა თვალყური უნდა ადევნოს, რომ არჩევნებში არ ღებულობდეს მონაწილეობას ისეთი პირები, რომელნიც უფლებას მოკლებულნი უნდა იყვნენ. ასეთ შემთხვევაში პროკურორი უნდა შევიდეს პროტესტით ინსტანციური წესით საარჩევნო კომისიაში ასეთ პირებზე საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ. პროკურორი ვალდებულია თვალყური ადევნოს კომისიის მუშაობას და შეეცადოს, რათა ამ უკანასკნელთა მუშაობაში არ იქნეს დაშვებული შეცდომები. მან უკანონო საარჩევნო უფლებას მოკლებულ მოქალაქეს ყურადღებით უნდა მოეპყრას და მისი უფლებების აღსადგენად უნდა აღძრას პროტესტი ზემოთ აღნიშნული წესით. აგრეთვე პროკურორი ფხიზლად უნდა იყოს და წინასწარ უნდა აღკვეთოს, რათა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს, ან არ იქნეს არჩეული ისეთი პირი, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ საარჩევნო უფლებას მოკლებულია.

ს საბჭოთა არჩევნების ნაყოფიერად ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული საარჩევნო დებულებისა და ინსტრუქციების მშრომელ მოსახლეობისადმი სწორად განმარტებაზე. აი აქ პროკურორმა და იუსტიციის სფეროში სხვა მომუშავე პირებმა დიდი ენერგია და უნარი უნდა გამოიჩინონ, აქტიურად უნდა ჩაებან საარჩევნო კამპანიაში და სხვებთან ერთად კრებაზე გლუბკაცობის ფართო მოსახლეობას განუმარტონ ჩვენი საარჩევნო კანონების მნიშვნელობა და საერთოდ

საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელ კომპარტიის კლასიური პოლიტიკა სოფლად.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორს უამრავი მოვალეობა აქვს დაკისრებული, და მეტად დატვირთულია ყოველდღიური მუშაობით, მან უნდა იხმაროს ყოველივე ღონისძიება რათა აღნიშნული მოვალეობანი პირნათლად შეასრულოს მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს. ჩვენ გვწამს ის ამას შესძლებს და მოახერხებს.

ი. ტალახაძე.

## სასამართლოს ამოცანები კულაკთან ბრძოლის ურონტზე

რამდენადაც წარმატებით იზრდება სოციალისტური სექტორი, იმდენათ მეტ შეწუხებას განიცდის ნეპმანი და კულაკი. ისინიც ამ შეწუხებაზე უპასუხებენ აქტიური წინააღმდეგობით სხვადასხვა ნაირ ფორმებში.

ერთი ამ ფორმათაგანია დასაბეგრ ობიექტების გადამაღვა. ნეპმანი ამ ფორმებს მიმართავს ხილულ საწარმო-საევაქროს ლიკვიდაციით და მათი ქერქვეშ გადატანით ან კიდევ შემოსავლის გადამალვით. ხოლო შინ თუ რაიმე ნივთები მოეპოება, ეს ყოველივე გადააქვს ცოლის და სხვა ნათესავების სახელზე. ამ ფორმის ბოროტებამ განსაკუთრებით იმატა ჩვენში 1927 წლიდან და დღეს თითქმის უაღრეს წერტილს აღწევს.

სამწუხაროთ ჩვენი სასამართლოები აქ ვერ იჩენენ სათანადო სიფხიზლეს, იბნევიან ფორმალობის ბურჟუსში და ნეპმანი და მისი დაქირავებული იურისტი ამით მარდათ სარგებლობენ. ამ ბოროტებას ჩვენი საგადასახადო ორგანოები ვერ შეებრძობებიან წარმატებით, თუ სასამართლო და პროკურატურა მეტის ინტერესით და ერთგულობით არ დაეხმარა მათ. ჩვენი ფინ-ორგანოები ყოველდღე ჩივიან სასამართლოს ზედმეტ ფორმალობაზე ამ მხრივ—და ხშირად სრულიად სამართლიანად. ეს ბოროტება იმდენად უყურადღებოთ რჩება, რომ ჩვენ დღემდე არ გვახსოვს არც ერთი კარგად მოწყობილი საჯარო პროცესი ასეთ დამნაშავეთა საქმიანობის სათანადო გამომზეურებით. ალბად სასამართლოები, მიუხედავად ჩვენი ცირკულიარებისა, ამ საქმეს უბრალო ბოროტებად სთვლიან. ეს ბოროტება კი პირდაპირ პროლეტარიატის სახელმწიფოს ძირითად ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული და ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სოციალურ დაცვის ღონისძიებებში მას კონტრევოლიუციის შემდეგ პირველი ადგილი ეკუთვნება (ს. ს. კ. თავი II).

ნეპმანზე მეტ თაღლითობას კულაკი იჩენს. ის ყიდულობს მიწას იჯარის ან ეგრედ წოდებულ დამუშავების სახით (ვითომდა გასაპოხიერებლად და ჯაგნარის გასაწმენდათ), ან აქირავებს სამეღრნეო იარაღს და საქონელს, ან კიდევ ეწევა მევახშეობას. ყოველივე ამას კი ისეთ ფორმებში ატარებს, რომ გარეგნუ-

ლად კულაკი ხშირად დაქირავებულ მუშის როლში გამოდის, ხოლო ლატაკი—  
დამქირავებლისა და განმკარგულელების როლში.

ღარიბ გლეხს მუშა საქონელი არა ყავს, ის ზოგჯერ იჯარით აძლევს მი-  
წას, ზოგჯერ კი მუშა საქონელს ქირაობს, ორივე შემთხვევაში აქ მის კლიენტად  
კულაკია, რომელიც გარეგნულად ვითომდა საწყალ მოიჯარადრეს და დაქირა-  
ვებულ მუშას წარმოადგენს. სინამდვილეში კი კულაკის ეკონომიური ურთიერთო-  
ბა ღარიბთან მუდამ სასარგებლოა პირველისათვის და საზარალო მეორესათვის.

როგორ აფასებს ამ დამოკიდებულებას ჩვენი სასამართლო? სამწუხაროდ  
უნდა აღვიაროთ, რომ ის ამ საკითხს ვერ უდგება სათანადოთ. ამის მაჩვენებე-  
ლია მრავალი ფაქტები.

აი მაგალითად, რას წერენ სახალხო მოსამართლეები თავიანთ სამთვიან  
მოხსენებებში: წალკის რაიონის სახალხო მოსამართლე—„კულაკობა არ იზრდებ-  
ბა, პირიქით კრება“; ბაშკირეთის რაიონისა—„კულაკობისა და მევახშეობის  
ზრდას ადგილი არა აქვს“; ლიუქსემბურგის რაიონისა—„კულაკები და მევახშე-  
ები არა გვყავს“; კახეთის მაზრიდან—გურჯაანის მოსამართლე—„ჩემდამი რწმუ-  
ნებულ რაიონში მევახშეობას ადგილი არა აქვს, რაც სჩანს იქედან, რომ საანგა-  
რიშო ღროში (სამ თვეში) მევახშეობის შესახებ საჩივარი არ შემოსულა“; ზუგ-  
დიდის მაზრის მოსამართლე—„კულაკობა, მარქსისტულ შეფასებით, ჩვენს მაზ-  
რაში არ მოიპოება“.

ჩვენ განგებ ავიღეთ ისეთი მაზრები, სადაც კულაკობა უფრო მეტია და  
ადგილი შესამჩნევი. რაღა უნდა ითქვას ისეთ მაზრებზე, როგორც არის ლეჩხუ-  
მი, შორაპანი და სხვები.

მეტად მიუღებელია ასეთი შეფასება, მით უმეტეს, რომ ამ მოხსენებათა  
ავტორების 99 პროც. მუშებია და ძველი პარტიის წევრები.

განა შეიძლება ლაპარაკი კულაკთან ბრძოლაზე, როდესაც ჩვენი სასამარ-  
თლო თვით კულაკის არსებობასაც ვერ ამჩნევს?

მართლაც არა მარტო მოხსენებებში რჩება კულაკი შეუმჩნეველი, ასეთ  
უჩინაჩინის ქულში გამოდის ის თვით სასამართლოს ღია სხდომაზედაც, აი მა-  
გალითები:

1927 წლის განმავლობაში, ჩვენ სასამართლოებში გაიარა 70.000 სანოქა-  
ქალაქო საქმემ, რომელთა ძიების თანხა უდრიდა 4.000.000 მანეთს. ამ საქმეთა  
უმრავლესობა ეხებოდა მუშებსა და გლეხებს ერთი მხრით, ნეკმანებს და კულა-  
კებს მეორე მხრით. თავისი შინაარსით ეს საქმეები შეეხება უმეტესათ ვულები  
ან სათესლე მასალის გასესხება-ვალდებულებას, ან მუშა საქონლის და მუშა-  
ხელის დაქირავებას, ან კიდევ იჯარისა და სხვა ქონებრივ გირავნობის დავას.  
ვის შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კონფლიქტები სოციალისტურ უთიერთობის  
ნიდადგზე აღმოცენდა? პირიქით მათი 100 პროც. აღმოცენებულია კაპიტალის-  
ტურ—კერძო ვაჭრობა მეურნეობის—ნიდადგზე. მაშასადამე ამ უთიერთობაში  
ადგილი ექნებოდა მოგებას, კაბალურ დამოკიდებულებას, მევახშეობას და სხვა  
კაპიტალისტურ ატრიბუტებს.

როგორ გამოამხეურა ჩვენმა სასამართლომ ეს ეკონომიურ უთანასწორობის  
ნაშთები? ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა ერთი ციფრი,

იმავე წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში აღძრული 16 საქმე მევახშეობის შესახებ. განა შეიძლება დავიჯეროთ, რომ 70.000 საქმიდან მხოლოდ 16 იყო მევახშეობის ნიშნებით?! ნუ თუ ჩვენი ქვეყნის კულაკობა ასე ლმობიერი და კეთილ მოწყალეა, რომ ყოველ ღარიბზე ზრუნავს და არავის ზედმეტს არაფერს ახდევინებს?! არა—ასეთ რამეს ჩვენ კულაკებს ვერ დავწამებთ. კულაკი ისეთი სოკოა, რომელიც, მხოლოდ, გაჭირვებულთა ზურგზე იზრდება და რომელიც მხოლოდ კაბალა-ექსპლოატაციით საზრდოობს. კულაკი გაცილებით მეტი მსუნავია, ვიდრე ჩვეულებრივი ვაჭარი ან მწარმოებელი. მის მსუნავობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მას საქმე აქვს არა კლასობრივად შეგნებულ, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ პროლეტართან, არამედ შეუგნებელ ბოგანო გლეხთან. სწორედ აქ უნდა იჩენდნენ ჩვენი სასამართლოები კლასობრივ გამჭირიანობას, აქ უნდა ელობებოდნენ წინ კულაკის წურბელობას.

ჩვენ კი რას ვხედავთ—ერთ წელში მხოლოდ 16 საქმეა აღძრული მევახშეობაზე, ისიც რა შედეგით? 16 კაციდან—9 გადაუწყვეტეს პირობითი სასჯელი, 3 გაანთავისუფლეს ამნისტიით და 4-კი მიესაჯა არა უმეტეს 6 თვის პატიმრობისა.

სად არის აქ კლასობრივი მიდგომა?

ვერ გვაკმაყოფილებს ვერც მოჯამაგირეთა საქმეების გარჩევა მათი უმრავლესობა ჭიანჭურდება. ძალიან ბევრ შემთხვევაში კი უკანონოთ წყდება. ხშირია შემთხვევები, როცა მოჯამაგირე უჩივის დამპირავებელს ვთქვათ 10 მანეთს, შრომის კანონების მიხედვით კი ერგება 30 და 50 მანეთი.\*) მან კანონები არ იცის. ამიტომ სამოქ. საპრ. კოდექ. 7 მუხ. თანახმად თვით მოსამართლეა ვალდებული გამოიჩინოს ინიციატივა და გამოარკვიოს, რამდენი ერგება მომჩივანს. თუ განცხადებით თანახმე მეტი ერგება უნდა მიუსაჯოს. მაგრამ არა მარტო ეს უნდა გამოაკლიოს მოსამართლემ, ის ვალდებულია არსებითად შეეხოს დამპირავებულისა და დამპირავებლის ურთიერთ დამოკიდებულებას და გამოარკვიოს სრულდებოდა თუ არა შრომის კანონები, რა ფორმებში—ხდებოდა მოჯამაგირის შრომის გამოყენება, სამუშაო ღირს ან უქმე ღირებში, ქონდა თუ არა ადგილი ზედმეტ ექსპლოატაციას, უდიერ მოქცევას, აუტანელ დატვირთვას (განსაკუთრებით თუ მოჯამაგირე მოზარდია ან დედაკაცი). იყო თუ არა აგრეთვე ის დაზღვეული (როცა ამას კანონი მოითხოვს) და სხვა. ყოველ შემთხვევაში, როცა კანონის დარღვევას ადგილი ქონდა დამპირავებელი უნდა მიეცეს პასუხისმგებლობა ისხლის სამართლის წესით.

როგორი მაგალითები გვაქვს ჩვენ აქ?

\*) ასეთი საქმე იყო ბორჯომის სასამართლოში 1927 წ. მოჯამაგირე ჩიოდა: „კულაკმა ერთი წლით დამიქირავა, შეიძინა თვის შემდეგ დამითხოვა და აგერ ერთი წელი გადის, არ იხდის ნამსახურის საფასურს 10 მანეთს“. ჩვენი კანონების მიხედვით მას ერგებოდა—თვეში არა ნაკლებ ხუთი მანეთისა ადგილობრივ შრომის ფასეულობით. გაუფრთხილებლობის ორი კვირის ჯამაგირი. აგრეთვე შევბუღების და ჯამაგირი ფაქტიურად ხელფასის გასტუმრებამდე (ე. ი. კიდევ ერთი წლის გარდა ნამუშევარი დროისა) ასე რომ მას ერგებოდა დაახლოებით 105 მანეთი. ი. ტ.



ყოვლად მიუღებელი. მოსამართლე ძვირად თუ ეხება ყოველივე აღნიშნულის გამორკვევას; ყოველ შემთხვევაში გასაკვირალია ის გარემოება, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენა გვაქვს ორი შემთხვევა დამქირავებელ კულაკის გასამართლებსისა; საქართველოში კი ითვლება 17.000 მოჯამაგირე. ნუ თუ კულაკები აქაც მამაშვილურ ღმობიერებას იჩენენ?! ნუ თუისინი ასე კარგად ასრულებენ საბჭოთა შრომის კანონებს!

აუარებელი კანონები და ცირკულიარებია დაწერილი ამ თემებზე, მრავალი მითითება აქვთ სასამართლოებს, მაგრამ ყოველივე ეს უსარგებლოდ დაიკარგება, მოსამართლე თავის დანიშნულების სიმალლეზე არ დგას, თუ მოსამართლემ მგელი ცხვრის ტყავში ვერ შეამჩნია.

უნდა ითქვას, რომ კულაკთან და ნეპმანთან ბრძოლის ფრონტზე სასამართლოს და პროკურატურას მეტის მეტად ღირს შესანიშნავი საპასუხისმგებლო საქმე ევალებათ. მათგან მოწყობილი ერთი კარგი ღია სხდომის პროცესი კულაკის საქმიანობის ნიღაბ ახდით გაცილებით უფრო მეტს იმოქმედებს ვიდრე ათეული სააგიტაციო წიგნი და მიტინგი; ის, რაც სასამართლოში გამოიმუხურდება საჯაროთ, მოწყობების ჩვენებით და ექსპერტების დასკვნით, გაცილებით მეტ აღმზრდელობით გავლენას ახდენს, ფართო მასებზე ვიდრე პრესაში გამოქვეყნება პროცესის შინაარსისა, თუ მივიღებთ მხედველობაში, იმ გარემოებას რომ ჩვენი გლეხი გაზეთსა და წიგნს ჯერ კიდევ ნაკლებად კითხულობს, მაშინ სასამართლოს საჯარო პროცესებს კულაკთან ბრძოლაში კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვთ.

## ი. როინაშვილი

### ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ\*

მიმდინარე წლის მორიგ და მასთან ერთად სასამართლოების მუშაობისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ამოცანას, რომელიც სდგას იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე, წარმოადგენს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება—შეძლებისდაგვარად გამარტივების საფუძველზე. წინასწარი მასალის მომზადება იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებაში უკვე დამთავრებულია და იუსტსაზკომის კოლეგიის მიერ მისი საბოლოო განხილვის და ცალკე დებულებათა (თეზისების) მიღების შემდეგ დაიწყება თვით აღნიშნული პროექტის შედგენა.

ჩვენს წინადადებებს, რომელიც სასამართლოს მუშაკებს და ფართო მკითხველ საზოგადოებას გვინდა გაუზიაროთ, საფუძვლად უდევს ის თეზისები, რომლებიც მიიღო 1928 წლის აპრილში საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოწვეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ (იხ. „საბჭოთა სასამართლის“ 1927 წ. № 9), რ. ს. ფ. ს. რ.—ის სისხ. სამ. სარ. კოდ. პროექტი, წა-

\* დისკუსიის წესით.

მოყენებული ამხ. კრილენკოს მიერ 1927 წელში (იხ. «Ежнедельник совет. юстиции» 1927 წ. №№ 47 და 48), რ. ს. ფ. ს. რ.-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. უკანასკნელი პროექტი (ს. ი. კ. 1928 წ. №№ 28 და 29); ზემოაღნიშნულ თეზისების და პროექტის განხილვის მასალები, რომლებიც იბეჭდებოდა როგორც ჩვენ ჟურნალში, ისე რ. ს. ფ. ს. რ.-ისა და უკრაინის ჟურნალებშიაც და ბოლოს სასამართლო პრაქტიკა, რომელმაც მრავალი ფრიად არსებითი და პრინციპიალური საკითხი წამოაყენა.

პროცესის ძირითადი მომენტები, რომლებშიაც უნდა იქნეს შეტანილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები, შემდეგია: 1) სისხლის სამართლის დევნის აღძვრა, 2) წინასწარი კვლევა ძიება, 3) სამართალში მიცემა და საქმის მოსპობა ან შეჩერება, 4) საქმეთა ქვემდებარეობა, 5) სასამართლოს მოსამზადებელი მუშაობა საქმის განხილვამდე, 6) სასამართლოს სხდომა, 7) განაჩენის გამოტანა, 8) საკასაციო-სარევიზიო წარმოება, 9) ზედამხედველობის წესით წარმოება და 10) განაჩენის სისრულეში მოყვანა.

1. მომქმედი სისხ. სამ. საპრ. კოდ. მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად კერძო ბრალდების წესით, ე. ი. დაზარალებულის საჩივრით აღძრული საქმეები იყოფა ორ კატეგორიად: 1) ისეთი საქმე, რომელიც აღიძრება დაზარალებულის საჩივრით და შეიძლება შერიგებით იქნეს გათავებული და 2) ისეთი საქმე, რომელიც აღიძრება იმავე წესით, მაგრამ რომლის შერიგებით დამთავრება აღძვრის შემდეგ, შეუძლებელია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ პროკრორს უფლება ეძლევა აღძრას ყოველი ასეთი საქმე დაზარალებულის საჩივრის გარეშეც, უკეთუ მან სცნო, რომ საქმეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, და აგრეთვე იმასაც, რომ ასეთ შემთხვევაშიც საქმის მორიგებით მოთავება აღარ შეიძლება, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ არ არსებობს არავითარი სერიოზული საფუძველი ამ საქმეთა ორ ზემოაღნიშნულ კატეგორიად დაყოფისათვის. რაკი არსებობს იმისი გარანტია, რომ ისეთი სისხ. სამ. საქმე, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება აღიძრას პროკურორის ინიციატივით, არ მოიპოვება არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ აღიკრძალოს ისეთი საქმის შერიგებით გათავება, რომელიც აღიძრება დაზარალებულის საჩივრით, ხოლო სისხლის სამართლის დევნის აღძვრის უფლება ამდგავარ საქმეებზე, უკეთუ საქმეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, მიენიჭოს დაზარალებულის გარდა, როგორც პროკრორს, ისე სახალხო მოსამართლეს და გამოძიებელს. ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე აღიძრა პროკურორის, სახალხო მოსამართლის ან გამოძიებლის ინიციატივით, აგრეთვე ისეთ შემთხვევაშიაც, როდესაც საქმე აღიძრა დაზარალებულის ინიციატივით, მაგრამ საქმის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, პროკრორმა საჭიროდ სცნო მასში ჩარევა, მისი შერიგებით გათავება არ უნდა იქნეს დაშვებული.

შერიგება დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ განაჩენის გამოტანამდე. ამ საკითხში არსებობს სხვადასხვა აზრი. მაგ., რუსსრს-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. დაშვებულია შერიგება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე. ჩვენ ვფიქრობთ,

რომ პირველი დებულება უფრო სწორი და მასალებია, რადგანაც ამ გზით საგ. რძნობლად მცირდება დავაქრობის (сутяжничество) შესაძლებლობა; სასამართლო აღარ იქნება უბრალო იარაღი ისეთ კერძო პირთა ხელში, რომლებიც სასამართლოს თავისი პირადი ანგარიშების გასასწორებლად იყენებენ და ხშირად აღძრავენ ხოლმე ყოველგვარ საზოგადოებრივ ინტერესსა და მნიშვნელობას მოკლებულ საქმეებს; ბოლოს ასეთი მდგომარეობა შესაძლებლობას უსპობს შეძლებულთ, სასყიდლით აიშოროს თავიდან სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი ისეთი განაჩენი, რომელიც მათ წინააღმდეგაა მიმართული (იხ. „Еженедельник Советской Юстиции“ 1928 წლ. № 36—37 ს. კორჟენევსკი).

რაც შეეხება იმას, თუ რა საქმეების აღძვრა უნდა მიეკუთვნოს კერძო ინიციატივას, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1927 წლ. რედაქციის სისხ. სამ. საპრ. კოდ. შემოღების დროს ასეთ საქმეთა კატეგორია გაფართოვდა (მე-10 და მე-11 მუხ.) და ამ უამად ჩვენი ახალი (1928 წლ. რედაქციის) სისხ. სამ. საპრ. კოდ. თანახმად დაზარალებულის საჩივრით აღიძრება საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 91, 155, 156 მ. 1 ნაწ., 158 მ. 1 ნაწ., 170, 174, 175, 176, 196 და 197 მუხლებით. აქ იბადება ორი საკითხი: 170 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულის (სქესობრივი ძალადობა) გამორიცხვის შესახებ იმ საქმეთა კატეგორიიდან, რომელიც დაზარალებულის საჩივრით აღიძრება, და ამ საქმეთა კატეგორიაში შეტანა საქმეებისა უბრალო ქურდობის (177 მუხ. „ა“ 3.) და კერძო პირის მიერ სხვისი ქონების მითვისების ან გაფლანგვის (182 მუხ. 1 ნაწ.) შესახებ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, თუ რამდენად სერიოზული სისხ. სამ. კოდ. 170 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — სქესობრივი ძალადობა, აშკარაა თუ გინდ იქიდანაც, რომ სოციალური დაცვის ღონისძიებად ამდაგვარი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე; სქესობრივი ძალადობის გამორიცხვის აუცილებლობა ზემოაღნიშნულ საქმეთა კატეგორიიდან უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდექსით ისეთ საქმეთა კატეგორიაში, რომლებიც დაზარალებულის საჩივრით აღიძრება, შეტანილია საქმეები უბრალო ქურდობის (177 მუხ. „ა“ 3.) და სხვისი ქონების მითვისება და გაფლანგვის შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია განსაკუთრებით უბრალო ქურდობის მიმართ. ჯერ ერთი რომ უბრალო ქურდობის ობიექტად შეიძლება გახდეს სახელმწიფო დაწესებულების და აგრეთვე სახელიწიფო საწარმოს, კოოპერატიულ ორგანიზაციის, კოლექტივის და სხვ. ქონება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ დანაშაულს სოციალურად საშიში ქმედობის ხასიათს აძლევს. მაგრამ, გარდა ამისა, საზოგადოდ, ასეთი წესით, როდესაც დაზარალებულს უფლება ეძლევა თავის შეხედულებით აღძრას საქმე ქურდობის შესახებ და თავის შეხედულებითვე მოსპოს იგი და ამითი ქურდობას, თუ გინდა უბრალოს, დაუკარგოს მისი საჯარო ხასიათი, ვერ ჩათვლება მიზანშეწონილად, რომ უკეთეს იმ პირის მიერ ჩადენილი ქურდობა გამოაშკარავდა, ქურდი ამჯობინებს დაუბრუნოს დაზარალებულს ნაქურდალი ან მასი ღირებულება ან ზოგჯერ შეიძლება მისი ნაწილიც და ამით აიცილინოს თავიდან პასუხისმგებლობა. მეორე ან შეიძლება მესამე შემთხვევამდე, როდესაც მისი ქურდობა არ იქნება გამოაშკარავებული

და ეს იმ დროს, როდესაც განმეორებითი ქურდობა ჩვენში კვალიფიციურ ქურდობად არის აღიარებული, დაზარალებული კი თავის მხრივ ამჯობინებს მიიღოს თავისი ქონება ან მისი ნაწილი მაინც საქმის სასამართლოში განხილვამდე, რადგანაც შესაძლებელია, რომ საქმის განხილვის შემდეგ მან ვერაფერიც ვერ მიიღოს, უკეთეს ნაქურდალი ნივთები არ ქონდა ქურდს ჩამორთმეული თავის დროზე. ზემოთქმული სასესიები შეეხება მითვისებას და გაფლანგვასაც და აი რატომ ვართ ჩვენ იმის წინააღმდეგი, რომ 177 მუხ. „ა“ პ. და 182 მუხ. 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მიეკუთვნოს ისეთ საქმეთა კატეგორიას, რომლების აღძვრა კერძო საჩივრის წესით სწარმოებს.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. სახელდობრ, ახალი სისხლის სამ. საპ. კოდ. პროექ. საჭიროა შეტანილ იქნეს მუხლი, რომლითაც დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენლებს (მშობლებს, მეურვეს და იმ დაწესებულების წარმომადგენელს, რომლის მზრუნველობის ქვეშაც დაზარალებული იმყოფება), უკეთეს დაზარალებული არასრულწლოვანია ან ისეთი პირია, რომელსაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქიკური დეფექტის გამო არ შეუძლიან თვითონ გამოვიდეს თავის დასაცავად, მიეცემა უფლება აღძვროს საქმე კერძო ბრალდების წესით. ამ შემთხვევაში საქმის შერიგებით მოსპობა დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ წარმომადგენლის თანხობით.

2. ეხლა გადავიდეთ წინასწარ კვლევა-ძიებაზე. აქ უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ რომ საბჭოთა სამართალი სისხ. სამ. საპრ. მომქმედი კოდექსით. არ ანსხვავებს მკაფიოდ ერთმანეთისაგან მოკვლევასა და გამოძიებას. ეს საჭიროც არ არის. მოკვლევისა და გამოძიების საშუალებანი და მეთოდები, აგრეთვე იმ ფუნქციების ფარგლები, რომლებიც დაკისრებული აქვთ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს, თითქმის ერთიდაიგივეა\*), და განსხვავება არსებობს უმთავრესად ამ ორგანოთა კვალიფიკაციაში. ამიტომ საჭიროა პროექტში დაწესდეს ის ზოგადი ნორმები, რომელთა მიხედვით უნდა სწარმოებდეს როგორც მოკვლევა, ისე წინასწარი გამოძიებაც. პროცესის ეს ორივე მომენტი უნდა გაერთიანდეს წინასწარი კვლევა-ძიების სახელწოდებით. ამით ჩვენ მივალწევთ დიდ გარკვეულობას და საგრძნობლად შევამკირებთ სისხ. სამ. საპრ. კოდ. მუხლების რაოდენობას. მეორე მხრივ, უნდა მივიღოთ მხედველობაში რომ ამით შესამჩნევლად ფართოვდება მოკვლევის ორგანოთა უფლებანი, აგრეთვე ისიც, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოთა კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე მოკვლევის ორგანოთა კვალიფიკაცია. ამის მიხედვით, უნდა დაწესდეს გამოძიებლების მიერ წინასწარი კვლევა-ძიების სავალდებულო წარმოება არა მარტო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია სისხ. სამ. საპრ. კოდ. განსაზღვრული მუხლებით, არამედ მაშინაც, როცა ამის დამოუკიდებლად, საქმე განსაკუთრებით რთული ან განსაკუთრებით საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონედ სჩანს. ასეთ შემთხვევაში გამოძიებელი მიიღებს საქმეს საწარმოებლად ან პროკურორის წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით.

\*) (მცირე გამოჩაქისის გარდა, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.)

მეორე მხრივ, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რომელზედაც სავალდებულოა წინასწარი კვლევა-ძიება გამომძიებლის მეშვეობით, შეიძლება ფრიად უმნიშვნელო და მარტივი აღმოჩნდეს, რის გამოც საჭიროა გამომძიებელს მიეცეს უფლება ასეთი საქმე, პროკოროს ნებართვით, გადასცენ კვლევა-ძიების სხვა ორგანოებს. შემდეგ, წინასწარი კვლევა-ძიების დარღვი მილიციის ორგანოთა უფლებების გაფართოებისა და მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების გამო, საჭიროა მილიციის თანამშრომელთა წრიდან გამოიყოს სათანადოდ მომზადებული თანამშრომლები და მათ დაევალოს წინასწარი კვლევა-ძიების წარმოება (იხ. საბჭოთა სამართლის 1928 წლ. № 9, გვ. 232), მაგრამ ეს საკითხი არ არის დაკავშირებული სისხ. სამ. საპრ. კოდ. ცვლილებებთან და იგი უნდა განხორციელდეს სხვა წესით. სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტში კი უფრო ძკაფიოდ უნდა გაეყვას ხაზი იმ მეთვალყურობას რომელსაც ანხორციელებენ გამომძიებლები წინასწარი კვლევა-ძიებას სხვა ორგანოთა მიმართ.

დასასრულ აღსანიშნავია ის განსხვავება, რომელიც უნდა იქნეს მიღებული გამომძიებლებისა და წინასწარი კვლევა-ძიების სხვა ორგანოების მიერ წარმოებულ კვლევა-ძიების შორის. ვინაიდან გამომძიებლებს ეკისრება უფრო რთული ან განსაკუთრებით საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეების წარმოება, მიზანშეწონილი არ იქნება ერთი და იმავე ვადების დაწესება გამომძიებლებისათვის და კვლევა-ძიების სხვა ორგანოთათვის. წინასწარი კვლევა-ძიების მოსახდენად. რ. ს. ფ. ს. რ.-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტით, როგორც საერთო წესი, მიღებულია გამომძიებლებისათვის ორი თვის, ხოლო სხვა ორგანოებისათვის ერთი თვის ვადა. ამ ვადების გაგრძელება სამ და ექვს თვემდე შეიძლება მხოლოდ მეთვალყურე ორგანოს ნებართვით და მისი დასაბუთებული დადგენილებით. ბოლოს, ვადების უფრო მეტი გაგრძელება ცალკე საქმეებში და აგრეთვე მათი საერთო გაგრძელება რესპუბლიკის ცალკე ადგილებისათვის შეუძლია რესპუბლიკის პროკოროს, რაც მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი.

უკეთეს გამოსარკვევია ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია, ღონისძიების მიღება ასეთ საქმეზე გამოსატან განაჩენის სისრულეში მოყვანის უზრუნველსაყოფად ვეალებათ გამომძიებლებს. როდესაც წინასწარ კვლევა-ძიებას აწარმოებენ კვლევა-ძიების სხვა ორგანოები, ასეთი ღონისძიების მიღება მათ შეუძლიათ მხოლოდ გამომძიებლის ნებართვით.

სანამ დავასრულებდეთ ლაპარაკს წინასწარი კვლევა-ძიების ორგანოთა შესახებ, საჭიროა შევჩერდეთ კიდევ ერთ დებულებაზე, რომელსაც აყენებს რ. ს. ფ. რ.-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტი. ახალი პროექტით მტკიცედ უნდა იქნეს გამიჯნული კვლევა-ძიების და პროკურატურის ფუნქციები ერთის მხრივ და სასამართლოს ფუნქციები მეორეს მხრივ. მთელი წინასწარი კვლევა-ძიება, საქმის მომზადება სასამართლოში წარსადგენად, სასამართლოში მიცემა, საქმის წარმოების მოსპობა და შეჩერება სავსებით უნდა შეადგენდეს კვლევა-ძიების და პროკურატურის ორგანოთა კომპეტენციას. სწორედ ასეთ სისტემაზე უნდა იქნეს აგებული ახალი სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტი.

როგორც ლოლიკური შედეგი ასეთი სისტემისა, საჩივარი გამომძიებლის მოქმედებაზე განსახილველად უნდა წარედგინოს მეთვალყურე პროკურორს, ხოლო კვლევა-ძიების სხვა ორგანოთა მოქმედებაზე—სათანადო გამომძიებელს. საჩივარი პროკურორის მოქმედებაზე შეიძლება წარედგინოს, დაქვემდებარების წესით, ზემდგომ პროკურორს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. მაგამ რ. ს. ფ. ს. რ. პროექტით მიღებული ერთი გამონაკლისი, სახელდობრ, საჩივარი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე წარედგინება პროკურორს, ხოლო უკანასკნელის დადგენილებაზე—იმ სასამართლოს რომელსაც საქმე ექვემდებარება. უკანასკნელის გადაწყვეტილება საბოლოოა. ასეთი კომპრომისი ზედმეტია და ყოველგვარ პრაქტიკულ საფუძველსაც მოკლებული. ერთის მხრივ გაუგებარია: რატომ სასამართლოს და არა, ვსთქვათ, რესპუბლიკის პროკურორი (იგივე იუსტიციის სახალხო კომისარი), რომელსაც მინდობილი აქვს წარმართვა და ხელმძღვანელობა მთელი სასამართლო პოლიტიკისთვის, არის უფრო კომპეტენტური ამ საკითხის გადაწყვეტაში. მეორეს მხრივ, ჩვენ საფუძველზე მხარს ვუჭერთ გამწესრიგებელ სხდომების გაუქმებას. ამ თვალსაზრისს დაადგა იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მოწვეული კომისიაც. ამ რიგად, საკითხი შემდეგია: ვინ უფრო კომპეტენტურია აღმკვეთი ღონისძიების საკითხის გადაჭრაში—სახალხო მოსამართლე (ერთ-პიროვნული), თუ რესპუბლიკის პროკურორი. კიდევაც რომ დაუშვათ, რომ ჩვენი პროექტით მიღებული იქნება ეგრედ წოდებული „სასამართლოს მოსამზადებელი სხდომები“ (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ) და, ამ რიგად, აღმკვეთი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა კოლეგიალურად იწარმოებს, ასეთი მდგომარეობა, ჩვენის აზრით, მაინც ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად. მთელი მოსამზადებელი მუშაობა საქმის სასამართლოში წარდგენამდე სწარმოებს სასამართლოს მოქმედების ფარგლების გარეშე და, ამ რიგად, აღმკვეთი ღონისძიების საკითხის გადასაწყვეტათ სას. თავიდან უნდა გაეცნოს საქმეს იმ დროს, როდესაც პროკურატურამ უკვე დეტალურად უნდა იცოდეს საქმის ყველა გარემოება, და ამიტომ მისთვის ადვილი იქნება ამ საკითხის უფრო სწრაფი და უფრო სწორი გადაწყვეტა. ზემოაღნიშნულის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭირო არ არის საერთო სისტემის შეცვლა. უნდა მივიღოთ ისეთი წესი, რომლის ძალით საჩივარი პროკურორის მოქმედებაზე უნდა წარედგინოს, ქვემდებარების წესის, ზემდგომ პროკურორს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. თანაც აღმკვეთი ღონისძიების მიმართ საკითხის საბოლოო გადაწყვეტის უფლება უნდა ეკუთვნოდეს რესპუბლიკის პროკურორს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ სინამდვილეში არ გასმოიწვევს ამ საკითხების გადაწყვეტის შეფერხებას.

შემდეგ წერილში ჩვენ ვილაპარაკებთ პროცესის შემდგომ სტადიებზე.

კ. მიქელაძე

## საოჯახო-ზოგადი მემკვიდრეობა და მემკვიდრეობის სკითხი\*

სადავოდ არის გახდილი იურიდიულ ლიტერატურაში საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა გაიხსნას მემკვიდრეობა იმ ქონების მიმართ, რაც რჩება კომლის უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგ. პირიქით დავას არ იწვევს საკითხი, თუ რა ბედი უნდა ეწიოს კომლის ქონებას იმ შემთხვევაში, როცა მისი რომელიმე წევრი გარდაიცვლება. აი რატომ.

ის ქონება, რაც კომლის მეურნეობას ემსახურება, არის კომლის, როგორც ასეთის ქონება და არა ისეთი ქონება, რომელშიაც თვითეულ წევრს ეკუთვნის განსაზღვრული წილი. აქედან ცხადია, რომ კომლის ცალკე წევრს არ ეკუთვნის კომლის ქონების განკარგულების უფლება, რადგან მას არა აქვს ამ ქონებაში წილი. მემკვიდრეობის საგნათ კი ჩაითვლება ის, რაც არის გარდაცვალებულის საკუთრება. მაგრამ საკითხი სხვანაირად ისმება მაშინ, როცა კომლის უკანასკნელი წევრი გარდაიცვლება. არსებული კანონის მიხედვით შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში გაიხსნას მემკვიდრეობა?

დასმულ საკითხზე არსებობს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება. ერთის მიხედვით კომლის უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგაც არ შეიძლება მემკვიდრეობა გაიხსნას, მეორეს მიხედვით კი—ასეთი გაიხსნება.

რუსეთის ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლომ თავის 1925 წლის 19 იანვრის განმარტებაში მისცა ამ საკითხზე დადებითი პასუხი (იხ. E. C. Ю. 1925 წლის № 6). უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ კომლის უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგ იხსნება მემკვიდრეობა დარჩენილ ქონებაზე და რომ უკეთეს არ არის ანდერძი კომლის უკანასკნელი წარმომადგენლისა, კომლის ქონება რომლის არსებობა შესწყდა მისი უკანასკნელი წარმომადგენლის სიკვდილის გამო, შეეფარდება წესები კანონით დაკვიდრებისა.

აღნიშნულ განმარტებას დიდი საფუძველი აქვს. საკითხი კომლის ქონების მიმართ მემკვიდრეობის გახსნის შესახებ პირველ ყოვლისა უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, რა ქონებაა ის, რაც კომლის უკანასკნელი წევრის განკარგულებაში იყო, ეს ქონება იყო თუ არა ამ წევრის პირადი განკარგულების ქონება.

ჩვენ ვიცით, რომ ერთად-ერთი განმკარგულებელი კომლის ქონებისა, არის თვით კომლი. როცა კომლში ერთზე მეტი წევრია, კომლის ქონების განმკარგულებლათ ეს წევრები გამოდიან. ერთად-ერთი შეზღუდვა, გატარებული კანონში, შეეხება კომლის ქონების განკარგულებას იმ შემთხვევაში, როცა ეს განკარგულება უკავშირდება მიწას. მიწის კოდექსის 23 მუხლის შენიშვნის

\* დისკუსიის წესით.

მიხედვით არ შეიძლება გაყიდულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო შენობა და ნაგებობა ისე, რომ ისინი მიწას არ აეცალონ, უკეთეს იმ პირის მიერ, ვისაც განზრახული აქვს ეს ქონება შეიძინოს, არა აქვს მიღებული წინასწარ უფლება მიწაზე. აქედან გამომდინარეობს ის დებულება, რომ შენობის ან ნაგებობის განკარგულება თავისუფალია იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაიცემა ისე, რომ მიწიდან იქნეს აღებული და სხვა ადგილას გადატანილი. აქ შეზღუდვის ცენტრი იმაშია, რომ მიწის განკარგულება მის მოსარგებლეს არ ეკუთვნის.

მიწ. კოდ. 23 მუხლის შენიშვნაში არის კომლის ქონების სხვა სახის განკარგულების შეზღუდვა. აქ დადგენილია, რომ ისეთი შენობისა ან ნაგებობის დაგირავება ან ანდერძით გადაცემა, რაც მიწას არ აეცლება, აკრძალულია. სიტყვა „არ აეცლება“ არ შეიძლება გავიგოთ იმ მნიშვნელობით, თითქოს ფაქტიურად შეუძლებელი იყოს მისი აცლა. არა, აქ ის აზრია ჩაქსოვილი, რომ მიწიდან შენობა ან ნაგებობის აკლამ არ გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლების გამო ქონებას დაეკარგება სამეურნეო გამოსადეგობა, რაც მას თავისთავად აქვს, რაც მას მიწიდან აღებამდე ჰქონდა. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს ის გარემოება როცა ქვის შენობა უნდა იქნეს აღებული და გადატანილი ადგილიდან. ეს გადატანა გამოიწვევს მის დანგრევას. პირიქით ხის შენობა შეიძლება დაიშალოს და ისე იქნეს გადატანილი.

კანონის მოყვანილი დებულება, ეხება რა განსაზღვრული სახის განკარგულებას, უკავშირებს უკანასკნელის შეზღუდვას იმ გარემოებას, არის თუ არა განკარგულების ქონება, წარმოადგენს თუ არა ისეთ ნივთს, საგანს, რომელიც მიწას არ აეცლება და მასთან აწესებს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით იმისათვის, ვინც ქონების ისეთ განკარგულებას დაუშვებს, რომელიც უკავშირდება მიწის ნებადართევლად გადაცემას. აქედან აშკარაა, რომ არ არის აკრძალული ისეთი შენობა ან ნაგებობის დაგირავება ან ანდერძით დატოვება, რაც მიწას აეცლება—მაგრამ შენობა და ნაგებობა, რომელიც მიწას აეცლება, შეიძლება დატოვებულ იქნეს ანდერძით ან დაგირავებული ისე, რომ მიწას არ აეცალოს. ამ შემთხვევაში ასეთ განკარგულებას უნდა მოჰყვეს ის შედეგი, რაც მოჰყვება მათ განკარგულებას მიწასთან ერთად, მიწასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრებიდან და კანონის დებულებიდან აშკარაა, რომ ის ქონება, რაც მიწას აეცლება, შეიძლება იქნეს დაგირავებული, გაჩუქებული, ანდერძით დატოვებული და საზოგადოდ გასხვისებული.—ასე რომ თუ ვისმეს უფლება აქვს ნივთი განკარგოს, მას შეუძლია იგი სხვას უანდერძოს. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ეს ნივთი შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეობის წესით სხვაზე.

რუსეთის ს. ფ. ს. რ. უზენაესი სასამართლოს ხსენებული განმარტება შეიცავს პასუხს იმ საკითხზე შეუძლია თუ არა კომლის უკანასკნელ წარმომადგენელს დაუტოვოს კანონიერ მემკვიდრეს კომლის ქონება. ამ განმარტებაში აღნიშნულია, რომ კომლის უკანასკნელ წარმომადგენელს აქვს უფლება ანდერძით დაუტოვოს კომლის ქონება იმ პირთ, ვინც ჩამოთვლილია სამოქ. სამ. კოდექსის 418 მუხლში და რომ ანდერძს ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მონადერძე გარდაცვალებისას მართლაც იყო ერთად-ერთი, უკანასკნელი წარმომადგენელი





კომლისა. ამ განმარტების საწინააღმდეგოდ დებულებას და აზრს ჩვენ ვერ ვიპოვებთ. პირიქით კანონში არის დადგენილებათა მთელი რიგი, რომლებიც გამოდგებიან საფუძვლად ამ განმარტებისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა კომლში ერთი პირია, კომლის ქონება უკვე არ არის საერთო სარგებლობის ქონება. ეს ქონება შეიძლება იყოს მხოლოდ პირადი სარგებლობის ქონება. მასთან ეს ქონება არის ერთად-ერთი წევრის პირადი განკარგულების ქონებაც, კომლის უკანასკნელი წევრი ამ ქონებას განკარგავს სრულებით დამოუკიდებლად. სხვა დებულებებს, რომლებიც ამართლებენ მოყვანილ განმარტებას, ჩვენ მოვიყვანთ განსაკუთრებით სამოქ. სამ. კოდექსიდან. ხსენებული კოდექსის 416 მუხლში დადგენილია, რომ კანონით და ანდერძით ქონების დამკვიდრება, მოწესრიგდება ქვემოთ აღნიშნულ მუხლებში. ეს მუხლები შეიცავენ იმ ნორმებს, რომლების კომპლექსი შეადგენს მემკვიდრეობის სამართალს. ამ მუხლების შორის აღსანიშნავია პირველ ყოვლისა 418 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც გამოიწვევიან მემკვიდრეობით (პირდაპირი შთამომავალი, გარდაცვალების ცოცხალი მეუღლე, აგრეთვე შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირი, რომელსაც გარდაცვალებული ფაქტიურად და მთლად ინახავდა თავის სიკვდილამდე ერთ წელიწადზე არა ნაკლებ). შემდეგ დებულებას წარმოადგენს ის ნორმა, სადაც დადგენილია, რა ბედი უნდა ეწვიოს ქონებას, როცა მემკვიდრეები არ გამოცხადდებიან 6 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, აგრეთვე მემკვიდრენი უარს იტყვიან დამკვიდრებაზე აღნიშნულ პირობაში ქონება ბეითალმანად ჩაითვლება. ამრიგად ქონების ბეითალმანად გამოცხადება ხდება სამოქ. სამართლის თანახმად—აქვე უნდა აღინიშნოს ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 28 მაისის დადგენილება კონფისკაციაქმნილ, ბეითალმან და უპატრონო ქონების რეალიზაციის წესის შესახებ (საკავშირო მთავრობის კანონთა და განკარგულებათა 1927 წლის კრებული № 32). ამ დადგენილების პირველ მუხლში სწერია შემდეგი: „სასამართლო ან აღმინისტრაციული წესით კონფისკაციაქმნილი, აგრეთვე ბეითალმანი და უპატრონო ქონება, რაც სახელმწიფო საკუთრებაში გადადის ს.ს. რესპუბლიკების კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის თანახმად, უნდა იქნეს გაყიდული საჯარო ვაჭრობით. მასთან ამ მუხლშივე ჩამოთვლილია ყველა ქონება, რაც ამ წესით არ შეიძლება გაიყიდოს. ასეთ ქონებათა რიცხვში აღნიშნულია საგლეხო კომლის ქონებაც. კომლის ქონებას რომ შეეფარდოს ეს წესები, საჭიროა, რომ იგი იყოს ან კონფისკაციაქმნილი, ან ბეითალმანი ან და უპატრონო დატოვებული. ჩვენ გვინტერესებს ამ უამად ის შემთხვევა, როცა კომლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს ბეითალმანათ. საკითხი იმის შესახებ რა ქონება შეიძლება ჩაითვალოს ბეითალმანი, სწყდება სამოქ. სამ. კოდექსის მიხედვით. საკავშირო მთავრობის არც ერთ დადგენილებით არ არის განსაზღვრული, რა ქონება შეიძლება ჩაითვალოს ბეითალმან ქონებათ. ამიტომ ერთად-ერთ სახელმძღვანელო კანონათ უნდა ჩავთვალოთ ჩვენი სამოქ. სამ. კოდექსი.

მიუხედავად კანონმდებლობის აღნიშნულ დადგენილებებისა იურიდიულ ლიტერატურაში ჰპოვა ადგილი ისეთმა შეხედულებამ, რომლის მიხედვით კომლის უკანასკნელი წარმომადგენლის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი კომლის ქონება ითვლება ბეითალმან ქონებათ. ასეთი აზრი იქნა გამოთქმული ვ. ლუჩანინოვის მიერ რუსეთის ყურანალში მოთავსებულ წერილში (იხ. Еж. сох. Юстиции 1924 წლის № 19—20, გვ. 450). „თუ კომლი ბეითალმანია, სწერს ვ. ლუჩანინოვი, შენობები და ინვენტარიც ბეითალმანია და საერთო წესისამებრ მან უნდა გაიზიაროს ყველა ბეითალმანი ქონების ბედი, ე. ი. არავის არ შეუძლია განკარგოს იგი სიკვდილის შემთხვევისათვის, თვით კანონი კი განსაზღვრავს მათ შემდეგ დანიშნულებას“. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალებისას ადგილი აქვს კომლის გადაშენებას და არა ბეითალმანობას, გაუგებარია ვ. ლუჩანინოვის ის დებულება, რომ არავის არ შეუძლია უანდერძოს ვისმეს კომლის ქონებათ. რათ არ უნდა ჰქონდეს კომლის უკანასკნელ წევრს უფლება კომლის ქონების ანდერძით დატოვებისა, თუ კი მას აქვს უფლება თავის სიცოცხლეში ეს ქონება გაჰყიდოს, გააჩუქოს, დააგირაოს და სხვა. ჩვენ კანონში ერთადერთი დადგენილება, რომელიც შეუძლებლად ხდის ანდერძით დატოვებას, შეეხება შენობებსა და ნაგებობას, რომელიც მიწას არ აეცლება.

მემკვიდრეობის სამართლის ძალით გახსნა კანონით მემკვიდრეობისა განსაზღვრავს ანდერძით მემკვიდრეობას. ასე რომ ის, ვინც შეიძლება იყოს კანონით მემკვიდრეთ, შეიძლება იყოს ანდერძით მემკვიდრეთ და ის, რაც არის ერთი წესის მემკვიდრეობის საგანი, შეიძლება იყოს მეორე წესის მემკვიდრეობის საგანიც. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თუ არ შეიძლება ანდერძით დატოვება რომელიმე ქონებისა, არც შეიძლება მისი დამკვიდრება კანონით.

ყოვლად გაუკებარია, რა მიზეზია მომქმედი კანონის მიხედვით, რომ ის ქონება, რაც შეიძლება დატოვებულ იქნეს ანდერძით, არ შეიძლება დამკვიდრებულ იქნეს კანონით. ვ. ლუჩანინოვს მის მიერ წამოყენებული დებულების გასამართლებლად მოჰკავს შემდეგი მოსაზრებანი: „სახელმწიფოს ინტერესს ის არ შეადგენს, რომ ისეთ პირთ, რომლებმაც დიდა ხანია შესწყვიტეს კავშირი სოფელთან იმის გამო, რომ მუდამ ისინი ქალაქში სცხოვრობენ და ეწვეიან საქმიანობას, გადასცეს ის ქონება კომლისა, რომელიც საჭიროა მხოლოდ სოფლის მეურნეობის საწარმოებლად და სრულებით გამოუღდეგარია, მაგალითად, საბჭოთა მოსამსახურისათვის ან სტამბის მუშისათვის“. მეორე მხრივ, განაკრძობს იგი, იმ მიზნით, რომ აღორძინდეს სასოფლო სამეურნეო მრეწველობა, სახელმწიფო დაინტერესებულია საშუალო გლეხის მეურნეობის გაძლიერებაში, რომელსაც სიმტკიცე და უნარი აქვს ებრძოლოს კულაკებს და სტიქიურ უბედურებას. ამ უკანასკნელი მიზნისათვის კი თვითეული ცხენს და გუთანს ბეითალმანი კომლისა, რომელიც ჯერ გადავა საზოგადოებაში, შემდგომ კი გაყოფაში, ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საწარმოო ძალთა ასაღორძინებლად, ვიდრე სახსრების ექსპლოატაციისათვის იმათზე გადაცემას, ვინც სოფლის მეურნეს ნათესავია და ვისაც სინამდვილეში დიდა ხანია დაუკარგავს კავშირი მიწასთან, რომლის დასამუშაველად ეს გუთანი და ცხენი არის დანიშნული. ყველა აღნიშნუ-

ლი მოსაზრებანი ვ. ლუჩინინოვისა მისაღებია მეურნეობრივი თვალსაზრისით. მაგრამ ამავე თვალსაზრისით გაუგებარია შექმნევი: თუ კომლის სამეურნეო ქონება გამოუღდეგარია სავსებით საბჭოთა მოსამსახურეთათვის ან სტამბის მუშისათვის, რათ უნდა ჩავთვალოთ იგი გამოუღდეგარად სოფლის მეურნესათვის, რომელიც სამოქ. სამარ. კოდექსის 418 მუხლის ძალით არის კომლის უკანასკნელი წევრის მემკვიდრე. ამიტომ თუ მიუღდებთ იმ მხრივ საკითხს, თუ რომელ მემკვიდრეს შეუძლია იგი გამოიყენოს იმ დანიშნულებისათვის, რომელიც მას ჰქონდა კომლის უკანასკნელი წევრის ხელში, საჭიროა ამ შემთხვევაში შევზღუდოთ სამ. სამ. კოდ. 418 მუხლის წინააღმდეგ იმ პირობა წრე, რომლებიც გამოიწვევიან მემკვიდრეთ, და არ შეიძლება ვაღიაროთ კომლის ქონება ბეითალმანად მიუხედავად იმისა, დარჩა თუ არა კომლის უკანასკნელ წევრს მემკვიდრე. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, კომლის უკანასკნელი წევრის მემკვიდრე იყოს ღარიბი გლეხი, რომლის მეურნეობა დაფავს სულს უსახსრობისა გამო. ასეთ მეურნეს რომ მიეცეს კომლის უკანასკნელი წევრის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება, ის მოლონიერდება და წესძლებს მეტი სამსახური გაუწიოს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას.

ამგვარივე შეხედულებას დასმულ საკითხზე გამოსთქვამს დ. ს. როზენბლუმი, ხოლო მას სხვანაირად ასაბუთებს (იხ. Д. С. Розенблюм. Земельное право, 1925 წლ. გამ., გვ. 191). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დ. ს. როზენბლუმი თავის დასკვნას ისეთ დებულებას ამყარებს, რომელიც კიდევ უნდა იყოს დამტკიცებული. ეს დებულება შემდეგია: „თუ ერთი წევრის სიცოცხლეში მისი მეურნეობა ემორჩილება ყველაფერში დადგენილებებს საერთო სარგებლობის ქონებაზე უფლების ბუნების შესახებ, მაშინ გარდაცვალებისას წარმოსდგება კომლის ბეითალმანობა, რომლის შედეგები სპეციალურად არის აღნიშნული კანონში“-ო. შემდეგ ამისა ის იძლევა სიტყვის „ბეითალმან ქონების“ ანალიზს და დაპარაკობს, რომ რახან კომლის ქონების მიმართ მემკვიდრეობა არ იხსნება, იგი კი ვადადის მთელი მასით კომლის იმ წევრებზე, რომლებიც ცოცხალი არიან, ბეითალმანი ქონების ცნება სულ სხვა შინაარსის უნდა იყოს მიწის სამართალში“-ო ამის შემდეგ ის უკვე განსაზღვრავს ბეითალმან ქონებას კომლისას. იგი დაპარაკობს, რომ „კომლის ბეითალმანი ქონება უნდა გავიგოთ, ცხადია, როგორც კომლის ისეთი ქონება, რომელიც დარჩა კომლის ყველა წევრის გარდაცვალების შემდეგ“. როზენბლუმის გამოსავალი წერტილი გაუგებრობის შედეგია. ცხადია, რომ იმ დებულებებს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს კომლის წევრთა საერთო სარგებლობის ქონება, არ უნდა ემორჩილებოდეს კომლის ის ქონება, რომელიც კომლის უკანასკნელი წევრის პირად, განსაკუთრებულ სარგებლობაში და განკარგულებაშია. უკანასკნელ შემთხვევაში გარჩევა კომლის ქონებისა და კომლის ერთად-ერთი წევრის პირადი ქონების შორის, როგორც იყო განმარტებული არ არის და არც შეიძლება იყოს. აქედან აშკარაა, რომ როზენბლუმის დასკვნა, რომელიც აშენებულია შემცდარ დებულებაზე, საფუძველს არის მოკლებული. ბეითალმანი ქონების ცნება არის ცივილისტური ცნება. ამიტომ მას უნდა შეეფარდოს სამოქ. სამ. კოდექსის სათანადო მუხლები. გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სანამ კანონში ამ საკითხზე არ იქნება სა-

თანადო დადგენილება, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს განვმარტოთ, რომ კომლის ქონების ბეთალმანობა სულ სხვაა, ვადრე სამოქალაქო სამართლის ბეთალმანობა, და აგრეთვე გვერდი აუხვიოთ სამოქ. სამართლის დადგენილებებს მემკვიდრეობის შესახებ და განმარტებით შევეცალოთ კანონის დადგენილებანი.

მ. ქობაშვილი.

### უფარვისობის გამო აღმინისტრაციის მიერ მოხსნილი მომუშავის საჩივრის სასამართლოში უშუალოდ განხილვის შესახებ

შრომითი კონფლიქტების განხილვის წესის შესახებ საკავშირო კანონის (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1928 წ. № 56 მუხ. 495), 12 მუხლით გათვალისწინებულია მთელი რიგი, კონფლიქტებისა რომელნიც თავდაპირველათ უნდა აუცილებლად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში იქნენ განხილული. ამავე კანონის მე-48 მუხ. „ა“ პუნქტის თანახმად მე-12 მუხლში აღნიშნულ კონფლიქტების განხილვა შრომის სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია ვერ შესძლებს მათ შესახებ გადაწყვეტილების გამოტანას. მე-12 მუხლში სხვათაშორის („გ“ პუნქტში) მოხსენებულია კონფლიქტიც უფარვისობის მიზეზით სამუშაოდან მიხსნის გამო. იბადება საკითხი, თუ რა კონფლიქტებია აქ ნაგულისხმები. ეხება თუ არა საკავშირო კანონის მე-12 მუხ. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გარეშე უფარვისობის მიზეზით მოხსნილ მომუშავის საჩივარს? მაგალითად, დამკირავებელმა სცნო, რომ ესა თუ ის მომუშავე უფარვისია, და მოხსნა იგი სამუშაოდან ისე, რომ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიისთვის არ მიუშარათეს. სამუშაოდან მოხსნილმა მომუშავემ მიმართა შრომის სასამართლოს სარჩელით სამუშაოზე აღდგენისა და ხელფასის შესახებ. აქვს თუ არა ასეთ შემთხვევაში შრომის სასამართლოს საფუძველი დაემყაროს საკავშირო კანონის მე-12 მუხ. „გ“ პუნ. და მე-48 მუხ. „ა“ პუნ. და მოხსნილი მომუშავე მისი პრეტენზიებით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში გაგზავნოს. ეს საკითხი პრაქტიკამ უკვე წამოაყენა და იგი მოითხოვს გადაჭრას.

ამ საკითხს პირდაპირ ეხება თავის წერილში სათაურით „შრომის კონფლიქტების შესახებ საკავშირო კანონი“ ვინმე ბ. ც-ე-ი (Еженедельник Сов. Юст. № 40-41 1928 წ. გვერდი 1064-1066“) და სწყევტს მას დადებითად ხსენებული ავტორი თავის აზრს არ ასაბუთებს. ალბათ მას საკითხის ასეთი გადაჭრა უდაოდ მიაჩნია. ჩვენი აზრით, დასმული საკითხი უნდა გადიჭრას უარყოფითად და აი რატომ.

შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხ. „გ“ პუნქტი აძლევს დამქირავებელს უფლებას მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების მოშლა, უკეთუ დაქირავებულის უვარგისობა გამოირკვას, მე-47 მუხ. პირველი შენიშვნის თანახმად კი ხელშეკრულების მოშლა ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებით. ამრიგად კანონი ავალებს დამქირავებელს საკითხი მომუშავეს უვარგისობის შესახებ შეიტანოს გამოსარკვევად და დასადასტურებლად შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში. აქედან ცხადია, თუ რა კონფლიქტს გულისხმობს მე-12 მუხ. „გ“ პუნქტი. საკავშირო კანონის მე-12 მუხ. „გ“ პუნქტი შეთანხმებულია შრომის კანონთა მე-47 მუხ. პირველ შენიშვნასთან. მე-12 მუხ. „გ“ პუნქტი ვერ შეეფარდება შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გარეშე უვარგისობის მიზეზით მოხსნილ მომუშავეს სარჩელს სამუშაოზე აღდგენისა და ხელფასის შესახებ, რადგან ეს სარჩელი თავისი შინაარსით არ ეკუთვნის იმ კონფლიქტების კატეგორიას, რაც მე-12 მუხ. „გ“ პუნ. არის გათვალისწინებული. აქ მოხსნილი შომუშავე თავის სარჩელს არ უდებს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ის ვარგისია. ასეთ საფუძველზე რომ იყოს მომუშავეს სარჩელი აშენებული, მაშინ ერთგვარი საფუძველი ექნებოდა იმ აზრს რომ ეს სარჩელი თავდაპირველად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში უნდა გაიჩინეს, რადგან მშრომელის ვარგის-უვარგისობის შეფასება და გამოკვლევა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ბუნებას უფრო შეეფერება, მაგრამ ამ შემთხვევაში მომუშავეს სრულიად არ სჭირდება ასეთი გარემოების მტკიცება. შრომის კოდექსის მე-38 მუხ. თანახმად დამქირავებელს უფლება აქვს სამუშაოზე კილების დროს გამოსცადოს მომუშავე. მის შემდეგ, რაც გამოცდის ვადა გავა და მომუშავე ნიღბული იქნება სამუშაოზე, თავისთავად იქმნება პრეზუმპცია, რომ მომუშავე გამოსადეგია სამუშაოსთვის. ამის გამო შრომითი ხელშეკრულების მოსაშლელად დამქირავებელს სჭირდება მომუშავეს უვარგისობის მტკიცება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში. სანამ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას თავისი გადაწყვეტილებით არ დაუდასტურებია მომუშავეს უვარგისობა, შრომითი ხელშეკრულება მოშლილი არ არის. ამიტომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გარეშე მოხსნილი მომუშავე თავის სარჩელს სამუშაოზე აღდგენისა და ხელფასის მისჯის შესახებ აშენებს იმ გარემოებაზე, რომ შრომითი ხელშეკრულება არ არის მოშლილი. სანამ შრომითი ხელშეკრულება არ არის მოშლილი, მშრომელი უნდა იქნეს დაშვებული სამუშაოზე და ხელფასიც უნდა მიეცეს მას შრომის კან. კოდ. მე-68 მუხ. თანახმად.

საკითხი, არის თუ არა კანონის თვალსაზრისით შრომითი ხელშეკრულება მოშლილი, არ წარმოადგენს იმ კატეგორიის საკითხს, რომელიც თავდაპირველად უნდა აუცილებლად განხილულ იქნეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში. ასეთ პირობებში მომუშავეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში გაგზავნა,—თუ მივიღებთ მხედველობაში შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის შემადგენლობას და საკითხების გადაწყვეტის წესს,—მიზანშეუწონლადაც უნდა იქნეს აღიარებული,

საკავშირო კანონის მე-7 მუხ. თანახმად შემფასებელ საკონფლიქტო კომისია შესდგება დამქირავებლისა და დაწესებულების ან საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის თანასწორი რიცხვის წარმომადგენლებისაგან. ამავე კანო-

ნის მე-18 მუხ. თანახმად შემფასებელი საკონფლიქტო კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ მხარეთა წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან, გადაწყვეტილება ვერ იქნება გამოტანილი. რაკი შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში დამქირავებელს ჰყავს თავის წარმომადგენლები, უკანასკნელმა, როგორც წარმომადგენლებმა, უნდა იხელმძღვანელონ დამქირავებელის დირექტივებით. დამქირავებულს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში ისეთი წარმომადგენელი, რომელიც მის დირექტივებს დაექვემდებარება, არ ჰყავს. მუშა-მოსამსახურის კომიტეტის წარმომადგენლები არიან პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლები და კავშირის აზრის გამოხატველები. საერთოდ კავშირი იცავს დამქირავებულის ინტერესებს, მაგრამ ამა თუ იმ შემთხვევაში კავშირის შეხედულება კონფლიქტზე შეიძლება არ ეთანხმებოდეს კონფლიქტში ჩაბმული მომუშავეს შეხედულებას. ამ რიგად შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში დამქირავებელს ყოველთვის ჰყავს მის დირექტივების გამტარებელი წარმომადგენლები, ხოლო მომუშავეს ასეთი წარმომადგენლები არ ჰყავს. ამიტომ თუ დამქირავებელი მიმართავს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, შესაძლებელია, კონფლიქტი გადაწყდეს დამქირავებელის სასარგებლოდ, რადგან მუშათა ფრაქციას, რომელიც კავშირის აზრის გამოხატველია და არა საქმეში უშუალოდ დაინტერესებული პირისა, აქვს შესაძლებლობა საკითხს მიუდგეს ობიექტიურად. მომუშავეს სასარგებლოდ შეიძლება გადაწყდეს საკითხი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელს წინასწარ არ აქვს შედგენილი თავიანთი აზრი განსახილველი საკითხის შესახებ და თუ მას სურს გამოიწვიოს საერთო ენა მუშათა ფრაქციასთან. მაგრამ რას უნდა მოელოდეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიიდან ისეთი მომუშავე, რომელიც დამქირავებელს მიერ მოხსნალია სამუშაოდან ყოველივე კანონიერ წესის დარღვევით? განა შესაძლებელია, რომ ასეთი დამქირავებელის წარმომადგენლები ობიექტიურად მიუდგენ საქმეს? დამქირავებელს რომ სურდეს საქმის ობიექტიურად გამოკვლევა-განა მას არ შეეძლო თავის დროზე, მომუშავეს მოხსნამდე, მიემართა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისთვის? რა საშუალება აქვს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიას გამოიტანოს ობიექტიური გადაწყვეტილება ისეთი დამქირავებელის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელმაც კანონის აშკარა მოთხოვნა დაარღვია და მომუშავეს მოხსნამდე არ მიმართა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ამ მომუშავეს უფარვისობის გამოსარკვევად? ასეთ პირობებში მომუშავეს სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტა ლოდიკურად წარმოუდგენილია.

ამ რიგად, ჩვენის აზრით, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილების გარეშე უფარვისობის მიზეზით მოხსნილ მომუშავეს აქვს სრული უფლება უშუალოდ შრომის სასამართლოში აღძრას სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და ხელფასის მისჯის შესახებ.

ახლა იბადება მეორე საკითხი, აქვს თუ არა უფლება დამქირავებელს ასეთი სარჩელის განხილვის დროს შრომის სასამართლოში წამოაყენოს საკითხი მომუშავეს უფარვისობის შესახებ. პასუხი ამ საკითხზე უკვე ცხადია ზემონათქვამიდან რაკი მომუშავეს სარჩელი ისეთ შემთხვევაში დამყარებულია იმ გარემოებაზე, რომ შრომითი ხელშეკრულება არ არის კანონიერი წესით მოშლილი. დამ-

ქირავებელს მისაგებლების საშუალებით შეუძლია იდავოს მხოლოდ ამ გარემოების ირველივ, ხოლო აუ დაქირავებელი ამ გარემობას არ უარყოფს, მაგრამ ამ პროცესში აპირებს შრომითი ხელშეკრულების მოშლას მომუშავეს უფარვისობის გამო, მას ეს მისაგებლის საშუალებით არ შეუძლია. მომუშავეს უფარვისობა, როგორც მისაგებელი, გამოდგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მომუშავეს სარჩელი ემყარებოდა ამ მომუშავეს ვარვისობას. ასეთ შემთხვევაში შეგებებული სარჩელის წარდგენაა საჭირო, ამასთან დაკავშირებით ზემოთაღნიშნული საკითხი უნდა ჩამოყალიბდეს ასე: შეუძლია თუ არა დაქირავებელს აღძრას უშუალოდ შრომის სასამართლოში სარჩელი მომუშავეს უფარვისობის აღიარებისა და ამ საფუძველით შრომის ხელშეკრულების მოშლის შესახებ. ამ გვარად დასმული საკითხი უსათუოდ უარყოფითად უნდა გადაიჭრას, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ეს სწორეთ ის კონფლიქტია, რომელიც ნაგულისხმებია საკავშირო კანონის მე-12 მუხ. „გ“ პუნქტით. დაქირავებელმა თავის მოთხოვნით ხელშეკრულების მოშლის შესახებ, მის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შემდეგაც, უნდა მიმართოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას.

საკითხის ასე გადაჭრა იმის გარდა, რომ იგი კანონთან არის შეთანხმებული მიზანშეწონილიცაა. საკითხი მომუშავეს უფარვისობის შესახებ ისეთი ხასიათისაა, რომ მისი გამოკვევა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ბუნებას უფრო შეეფერება. დაქირავებელის ინტერესები შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში საკმაოდ დაკულია, რადგან მუშათა ფრაქციას, როგორც კავშირის წარმომადგენელს, არ აქვს საფუძველი მიუდგეს საკითხს არა სათანადო ობიექტივობით.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებისა და შრომის სასამართლოს გადაწყვეტილებას შორის არ შეიძლება წინააღმდეგობა წარმოიშვას. თუ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ ხელშეკრულება მოშლილად სცნო სასამართლოში საქმის გადაწყვეტამდე, დაქირავებელი წარადგენს შ. ს. კ. გადაწყვეტილებას სასამართლოში და მომუშავეს სარჩელი დაკმაყოფილება მხოლოდ იმ მომენტამდე, როდესაც შრომითი ხელშეკრულება მოშლილი იქნება შ. ს. კ. გადაწყვეტილებით. თუ შ. ს. კ. გადაწყვეტილება გამოჩანოდა იქნა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მომუშავეს აღდგენის შესახებ, შრომითი ხელშეკრულება იქნება მოშლილი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ და მშრომელი მოიხსნება სამუშაოდან შრომითი ხელშეკრულების მოშლის მომენტიდან.

ბოლოს საკითხის ასე გადაწყვეტას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ გზით დაქირავებელი ეჩვევა კანონის მოთხოვნის ასრულებას, რაც საჭიროა, როგორც მომუშავეს ინტერესების, ისე თვით საწარმოს თუ დაწესებულების ინტერესების დასაცველად, რადგან შრომითი ხელშეკრულება ითვლება მოშლილად მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა სათანადო ორგანო მას მოშლილად სცნობს და არა იმ მომენტიდან, როცა დაქირავებელს მოესურვება მომუშავეს სამუშაოდან მოხსნა.

\*) ეს წერილი აწყობილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა ა. /კ. შრომის სახ. კომისარიატის განმარტება შრომის კან. კოდ. მე-47 მუხ. „გ“ და „დ“ პუნქტების შესახებ, (იხ. გაზ. „Восток“ № 298; 1928 წ. დეკემბრის 26-ის), რომელიც წერილში გამოთქმულ დებულებას ეხება.

ი. ავაქიძე.

## უჩაღაღური თავდასხმა და ბანდიტიზმი რ.ს.ფ.ს.რ-ქისა და საბ. ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსებით \*

მთავარი დამახასიათებელი მომენტი ბანდიტიზმის შედგენილობაში არის წინასწარი შეთანხმება ერთი, ან რამდენიმე შეიარაღებული თავდასხმის ჩადენისათვის; ასეთი აზრი გატარებულია ლიტერატურაში და ნაწილობრივ სასამართლოს პრაქტიკაშიც. მაგალითად, პროფ. პოზნიშევის (იხ. Очерк, I ч. стр. 157) აზრით, ბანდა განსხვავდება უბრალო თანამონაწილეობისაგან იმით, რომ ბანდაში მონაწილე პიროვნებათა შორის არსებობს საერთო შეთანხმება მთელი რიგი დანაშაულის ჩადენისათვის, მაგრამ ამავე ნაწარმოების მეორე ადგილში ხსენებულ ავტორს შეაქვს ამ დებულებაში შესწორება და აღიარებს, რომ ხშირად ბანდიტებს აერთებს მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენის სურვილი, ასე რომ ბანდის ცნება არ შეიძლება უარყოფილ იქნას იმ შემთხვევაშიც, როცა ბანდიტების მიერ დასახულია მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენა (იხ. Очерк, ч. 2, стр. 20).

ბანდიტიზმის შედგენილობისათვის წინასწარი შეთანხმების მომენტს საჭიროდ სთვლიან აგრედვე ა. ესტრინი, როკინსკი და სხვა საბჭოთა კრიმინალისტები (იხ. Эстрин, Уголовный бандитизм, Б. С. Э. т. 4, стр. 606, Рогинский, Энци. права и госуд. т. 1, стр. 209, Пионтковский, Сов. угол. право т. 2, стр. 287).

იმ შენიშვნებიდან, რომელიც პერიოდულ პრესაში თავსდება და ამ საკითხს შეეხება, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი შენიშვნა, რომელიც, თუმცა არ უარყოფს წინასწარი შეთანხმების მნიშვნელობას ბანდის შედგენილობაში, მაგრამ თავისებურად განმარტავს ასეთ შეთანხმების ცნებას, რაც არსებითად უდრის მისი უარყოფას.

ხსენებული შენიშვნის მიხედვით ბანდის შინაარსისათვის საჭიროა: „ხელმძღვანელის და შტაბის სახეზე ყოფნა, შეიარაღებული ჯგუფის მიერ მოსახლეობის განსაზღვრულ ფენებთან კავშირის გაბმა, მომარაგება, ნაძარცვის შენახვა, მაგრამ მთავარი ნიშანია შეიარაღებულ პირთა შორის წინასწარი შეთანხმება ერთი, ან რამდენიმე თავდასხმის ჩადენისათვის; ეს მომენტი საკითხის გადამჭრელი მომენტია, თუნდაც ბანდ ს დამახასიათებელი სხვა ნიშნები სახეზე არ იყოს; ამიტომ, თუ დადასტურებულია წინასწარი შეთანხმება, ყაჩაღოა ჯგუფი ორგანიზაციაქმნილ შაიკად უნდა ჩაითვალოს და მათი მოქმედება უნდა განისაზღვროს 59<sup>ე</sup> მუხლის ფარგლებში, ამასთან საჭირო არ არის, რომ ასეთი წინასწარი კავშირი გამოაშკარავებულ იქნას ამა თუ იმ პირთა შორის. საკმარისია გამოირკვეს მათი შეთანხმებული მოქმედება ერთ საქმეში. ამის მიხედვით

\* დისკუსიის წესით; იხ. „საბ. სამართ. № 23“



თუ ორი, ან სამი ყაჩაღი შემთხვევით თავს დაესხნენ ერთ და იგივე პიროვნებას, ან დაწესებულებას თვით ფაქტი ასეთი სოლიდარული მოქმედებისა ააშკარავებს მათ შორის შეთანხმებას, რაც წარმოიშვა, თუ წინასწარ არა, ყოველ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის დროს მაინც, და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბაბი შეთანხმების ასეთი სახე გამოვყოთ წინასწარი შეთანხმებისაგან (იხ. А. Галкин о разбое и бандитизме „Рабочий суд“, 1927 г. № 6, стр. 479).

ყველა, ვინც კი ამ შენიშვნას თვალს ვადააგლებს, დარწმუნდება, რომ მისი პიროველი ნაწილი სავსებით ეწინააღმდეგება მეორე ნაწილს, წინასწარი შეთანხმება არა მარტო ბანდიტურ მოქმედების ჩადენაში, არამედ საერთოდ ყოველივე საქმის წარმოებაში, იმას ნიშნავს, რომ მას არ ერთვის არავითარი შემთხვევითი მომენტები; რამდენიმე პირის შემთხვევითი მოქმედება სრულიად უარყოფს წინასწარი შეთანხმებას და ამ ორი ცნების არევა მიუღებელია; მაგალითად, ერთი შეიარაღებული პიროვნება ახდენს თავდასხმას ქონების მოტაცების მიზნით, ხოლო მეორე, შემთხვევით ხედავს რა ამას, უერთდება თავდამსხმელს და ყოველივე შეთანხმების გარეშე ეხმარება მას ამა თუ იმ სახით; აქ, რა თქმა უნდა, არ არის მოქმედ პიროვნებათა შორის წინასწარი შეთანხმება, და მაშინადაც ეს მოქმედება არ შეიძლება ბანდიტიზმად იქნას აღიარებული მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობდა ორი შეიარაღებული პიროვნება; ეს არის უბრალო თანამონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში. ორში ერთი — ან რამოდენიმე პიროვნებების მიერ ჩადენილია ესა თუ ის მოქმედება წინასწარი შეთანხმებით, მაშინ მათი შეერთების შემთხვევითი ხასიათზე შეუძლებელია ლაპარაკი ან მოქმედებას აქვს შემთხვევითი ხასიათი — მაშინ წინასწარი შეთანხმების ცნება უარყოფილია სავსებით.

ის შინაარსი, რომელიც დასახელებულმა ავტორმა ბანდის ცნებაში მოაქცია, კანონმდებლობის კონსტრუქციის შედეგია: რაკი ს. ს. კ. 167 მუხ. ყაჩაღურ თავდასხმაში ჯგუფური მოქმედებას არ ითვალისწინებს, მეორე მხრით კი ყოველივე შეიარაღებული თავდასხმა, ჩადენილი ჯგუფის მიერ, ამის გამო უნდა მოექცეს ბანდატიზმის ფარგლებში, ბანდიტიზმის ცნება თითქოს გაფართოვებულია და საკითხი იმის შესახებ, შემთხვევითი ხასიათისაა შეიარაღებულ პირთა შეერთება ყაჩაღურ თავდასხმისათვის, თუ ეს შეერთება წინასწარი შეთანხმებით არის გამოწვეული, თითქოს ჰკარგავდეს ყოველივე მნიშვნელობას; ასე მსჯელობს ავტორი ზემოთმოყვანილ შენიშვნაში, რაც ეწინააღმდეგება საერთოდ მიღებული ბანდისა და ბანდიტიზმის ცნებას

ამრიგად რუსეთის ს. ს. კ. 167 მუხლის დამახასიათებელი მომენტი ისაა, რომ ხსენებული მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ ცალკე პირის მიერ ჩადენილ თავდასხმ.ს, რის გამოც ყოველივე შეიარაღებული ჯგუფის მოქმედება უნდა მოექცეს 59<sup>3</sup> მუხლის ფარგლებში. ეს ჩვენის აზრით ყაჩაღურ თავდასხმის კონსტრუქციის ნაკლია, რაც გამოსწორებულ უნდა იქნას საკანონმდებლო წესით.

გაცილებით უფრო სწორ კონსტრუქციას ყაჩაღური თავდასხმისათვის იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1928 წ. რედაქციით.

თუმცა 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი 181 მუხლში არ ხმარობს ისეთ ტერმინებს, როგორცაა „ჯგუფი“ ან „შაიკა“, როგორც ამას უშვებდა

საქართველოს 1922 წლის ს. ს. კ. 191 მუხლის მეორე ნაწილი, მაგრამ 181 მუხლის შინაარსის მიხედვით ცხადია, რომ ხსენებული მუხლი ითვალისწინებს როგორც ერთპიროვნული, ისე ჯგუფის მიერ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმას. ასეთი დასკვნა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იმ გარემოებიდან, რომ 181 მუხლში ყაჩაღური თავდასხმა განსაზღვრულია როგორც სხვისი ქონების წართმევის მიზნით თუნდაც ერთი პირის სააშკარაო თავდაცვმა, მაშასადამე აქ ჯგუფური მოქმედება არ არის უარყოფილი. ასეთი კონსტრუქცია, რ. ს. ფ. ს. რ.-ის ს. ს. კ. 167 მუხლთან შედარებით, იძლევა საშუალებას მოვაქციოთ ბანდიტიზმის ფარგლებში, ამ დანაშაულის ნამდვილი შინაარსის მიხედვით, მხოლოდ ისეთი შეიარაღებული თავდასხმა რამდენიმე პირისა, რასაც ორგანიზაციაქმნილ შაიკას ხასიათი აქვს და რაც გართულებულია ს. ს. კ. 58<sup>10</sup> მუხლში აღნიშნული განსაკუთრებული მომენტებით, ე. ი. რაც თავის შინაარსით ისეთ დანაშაულს წარმოადგენს, რომელიც არყვეს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მართებლობისა და სამეურნეო ძლიერების საფუძვლებს, ხოლო ყაჩაღურ თავდასხმის მუხლში მოვაქციოთ ისეთი შეიარაღებული თავდაცვმა რამოდენიმე პირისა, რომელიც მარტოოდენ ქონების წართმევის მიზნითაა გამოწვეული და რომელშიაც მომქმედ პიროვნებათა შეერთებას არა აქვს ბანდა-შაიკის ხასიათი. ყაჩაღური თავდასხმის ასეთი კონსტრუქციის მიხედვით არ არის საჭირო ხელოვნურად გავაფართოვოთ ბანდიტიზმის შინაარსი და ყოველივე თუ გინდ შემთხვევით შემდგარი შეიარაღებული ჯგუფი ბანდათ ვაღიაროთ, როგორც ეს დაშვებულია რუსეთის კანონმდებლობაში და სასამართლოს პრაქტიკაში.

ამრიგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეიარაღებული ჯგუფის სააშკარაოდ თავდაცვმა, რაც გამოწვეულია მხოლოდ ქონების მოტაცების მიზნით და შესრულებულია იარაღის ხმარების საშვალებით, მოექცევა 181 მუხლის მესამე ნაწილის სანქციაში, რომელიც ითვალისწინებს შეიარაღებულ ყაჩაღობას; აქ იმის შიში, რომ ასეთი მოქმედების ბანდიტიზმიდან გამოყოფის შემთხვევაში სასამართლოს რეპრესია იქნება შესუსტებული, ზედმეტია, ვინაიდან 181 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით სოციალური დაცვის ღონისძიება შესაძლოა აწიეულ იქნას დახვრეტამდე.

238. მსშპიპ

## თემსაბჭოს პრეზიდიუმების უფლებათა შესახებ მმართველობის დარგში.

ადგილობრივ ორგანოების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრავს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა მიმართველობის სისტემაში. მთელი რიგი ამოცანებისა, რომელიც წამოყენებულია სოციალისტური აღმშენებლობის მიმდინარე პერიოდში, ცხადია, თავის შესაფერ უფლებრივ გამოხატულებას უნდა პოულობდეს ჩვენს კანონმდებლობაში. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა სრულიად საქ. ცენ. აღმას. კომიტეტის მიერ ა. წ. 12 სექტემბერს გამოტანილი დადგენილება № 63 საბჭოთა მმართველობის ადგილობრივ ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების შესახებ. (იხ, კან. კრებ. № 15, 1928 წ.).

აღნიშნულ დადგენილების მნიშვნელობა და მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ, ერთის მხრივ, უზრუნველკყოს საბჭოთა ძირითად ორგანოების თვითმოქმედების და აქტივობის ზრდა მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და ავტორიტეტის ამაღლებით, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლად ხდის ჩაბმულ იქნეს ადგილობრივ ორგანოების (საბჭოების) მუშაობაში ფართო მშრომელი მასები, რათა სწრაფად და იოლად იქნეს გადაწყვეტილი: სამეურნეო, საფინანსო, კულტურული და ადმინისტრატიული ხასიათის კითხვები.

იმ დებულებათა შორის, რასაც ც. ა. კ. აღნიშნული დადგენილება შეიცავს, ჩვენ გვინდა განვიხილოთ მხოლოდ თემსაბჭოების პრეზიდიუმების უფლებები ადმინისტრატიულ და საერთო მმართველობის დარგში.

ზემო აღნიშნულ კანონის მიხედვით, შეგვიძლია უფლებრივ მოვლენების ექვს ჯგუფს მიუთითოთ, რომელიც აფართოებს და ადიდებს თემსაბჭოს პრეზიდიუმების კომპენტენციას. თემსაბჭოს პრეზიდიუმებს უფლება აქვთ. 1. გამოსცენ სავალდებულო ხასიათის დადგენილებანი; 2. წარადგინონ სარჩელი ადგილობრივ სახალხო სასამართლოებში კაბალურ (შემბოჭველ) ხელშეკრულებათა გაბათილების შესახებ; 3. ნებართვა გასცენ სოფლად მაგარი სასმელების ვაჭრობისათვის; 4. ნებართვა გასცენ თემის ფარგლებში სანახაობათა მოწყობისათვის; 5. რეგისტრაცია უყონ გლახთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათ და მოხალისე სასანძრო რაზმებს და 6. ხელშეკრულება დასდონ სოფლად მორწმუნეთათვის ეკლესიების უფასოდ გადაცემის შესახებ.

რეკოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისა და სოფლად სოციალისტური ელემენტების გაძლიერების თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა იქნეს წამოყენებული თემსაბჭოს პრეზიდიუმის უფლებანი: სავალდებულო დადგენილების გამოცემისა და სახალხო სასამართლოში სარჩელის წარდგენის.

უპირველესათ საჭიროა გაირკვეს ის გარემოება, თუ როგორი ხასიათის უნდა იყოს სავალდებულო დადგენილებანი, თემსაბჭოს პრეზიდიუმების მიერ გამოცემული, ან რა ფარგლებში და რა ხნის განმავლობაში მოქმედებენ ისინი. ც.ა.კ. ზემოხსენებულ დადგენილების მე-2-რე მუხლის განმარტებით; ა) თემსაბჭოს

პრეზიდენტებს შეუძლიათ გამოსცენ ყოველგვარი სავალდებულო ხასიათის დადგენილებანი, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მიერ გამოცემული დადგენილებანი არ შეიძლება იყოს მოქმედ კანონების (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამარ. და სხვ.) მაგიერი ან და ისეთი ხასიათის, რომელიც ამ კანონებიდან არ გამოდინარეობს უშუალოდ და მის დამატებას ან შეცვლას ლამობს, ე. ი. თემსაბჭოს პრეზიდენტების მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი, ცენტრალურ ხელისუფლების კანონების ადგილობრივ პირობებში განხორციელებას უნდა ისახავდეს მიზნათ. კონკრეტულათ, თემსაბჭოების პრეზიდენტებს უფლება აქვთ გამოსცენ ისეთი სავალდებულო დადგენილებანი, რომლებიც შეეხებიან: ბ) რევოლიუციონური წესრიგის და უშიშროების დაცვას; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონების დაცვას; დ) კეთილ მოწყობის საკითხებს ე) ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას.

უქვეყლია, რომ აქ ჩამოთვლილი უფლებანი, რომელიც მინიჭებული აქვს თემსაბჭოს პრეზიდენტს, ეხებიან სოფლის ცხოვრების არსებით მხარეებს და ფართო მშრომელი მოსახლეობის ყოველდღიურ ინტერესებს. ამიტომ საჭიროა ადგილობრივ ყოფაცხოვრების ზედმიწევნითი ცოდნა, რათა თავის დროზე აუღლოს ალლო თემსაბჭოს პრეზიდენტებმა ყველა იმ გარემოებებს, რაც მოსახლეობის ღ სახელმწიფოს ინტერესებს შეეხება და შესაფერ უფლებრივ ჩარჩოებში ჩამოაყალიბოს ეს უკანასკნელი. ტერიტორია, რომელზედაც შეუძლია მოქმედება თემსაბჭოს პრეზიდენტის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას შეიძლება განისაზღვროს, როგორც მთელი თემის ფარგლებით, ისე ერთი რომელიმე სოფლით. ვადა ამ დადგენილებათა მოქმედებისა არ შეიძლება იყოს ერთ წელზე მეტი (იხ. 1926 წ. კან. კრებ. № 3, მუხ. 71. დად. № 43)

რაც შეეხება თემსაბჭოს პრეზიდენტის უფლებას ადგილობრივ სახალხო სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესახებ კაბალურ (შემოკველ) ხელშეკრულებათა გაბათილებისათვის, ეს ფრიად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ამით საშუალება ეძლევა ხელისუფლებას მეტი წარმატებით ებრძოლოს სოფლის კაპიტალისტურ ტენდენციების განვითარებას. თემსაბჭოები, უფრო მჭიდროთ და უშუალოდ არიან დაკავშირებული ფართო მოსახლეობასთან ვიდრე სასამართლოს ორგანოები, და ცხადია უფრო ზედმიწევნით გაუწყვენ კონტროლს ჩარჩულ-კულაკურ ხელშეკრულებების გამომქლავებას. თუ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისათვის ხშირად გაუხსნელი რჩება იმ ოინების კვანძები, რასაც კულაკობა მიზართავს ღარიბ გლეხობის გასაყვლევად (მევაზშეობა, და სხვ.) თემსაბჭოებს,—თუ ისინი თავიანთ სიმალღზე იქნებიან, არც ერთი ასეთი გარემოება არ გამოეპარებათ. თემსაბჭოს პრეზიდენტებმა მიზანშეწონილად უნდა ისარგებლონ ამ უფლებით და სააშკარავოზე გამოიტანონ ის უთანასწორო გარიგებანი, რითაც ხელს ითბობს კულაკობა. ამით ისინი, ერთი მხრივ, ასწვენ თავიანთ ავტორიტეტს ფართო მოსახლეობაში და, მეორე მხრივ, უდიდეს სამსახურს გაუწყვენ იუსტიციის მუშაკებს სწორი კლასიური ხაზის გატარებაში სოფლად. თემსაბჭოების ინიციატივით უნდა მოეწყოს სახ. სასამართლოს სესიებზე—ადგილობრივ მოსახლეობის თვალწინ—იმ დამნაშავეთა პროცესები,

რომელთაც ბრალდებათ: მევახშეობა, მოჯამაგირის შრომის მუქათთ გამოყენება, და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ სოფლის მოსახლეობის დაფერენციაციას და იმ კლასურ ძალთა განწყობილებას, რასაც ადგილი აქვს ამ ქაზად, მაშინ ცხადი გახდება იმ როლის მნიშვნელობა, რაც თემსაბჭოს პრეზიდიუმებმა უნდა შეასრუროს მათი უფლებების მეოხებით. აღმშენებლობითი მუშაობის წარმატებით დაზოგვრებისათვის და ნამდვილი რევოლუციონური მართლ შეგნების განმტკიცების მიზნით, თემსაბჭოებმა უნდა გაშალონ ბრძოლა კერძო კაპიტალისტური ტენდენციების წინააღმდეგ, უნდა ალაგმონ და გარიყონ კულაკობა, მით უმეტეს როცა აღნიშნული დებულება ც. ა. კ. № 63 სასამართლოს ბაჟისა და გამოსაღებისაგან საეხებით ანთავისუფლებს თემსაბჭოს პრეზიდიუმებს მათ მიერ აღძრულ სარჩელებზე, კაბალურ გარიგებათა გასაბათილებლათ.

ს. ქავთარაძე.

## როგორია რევოლუციონური კანონიერება აფხაზეთში და როგორ ტარდება ის.

აფხაზეთის იუსტახკომისარიატის და სასამართლოს ორგანოების საქმიანობის გამოკვლევამ მოგვცა შემდეგი სურათი: მიუხედავად საქ. კონსტიტუციის 88 მუხ. 2 პ., რომლის ძალითაც ყველა კოდექსები, დადგენილებები და დეკრეტები გამოცემული სრულიად საქართველოს ცაკ-ის მიერ, რომელთა მოქმედება ვრცელდება მთლად საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულოა ს. ს. რ. აფხაზეთისათვისაც, არც ერთი კოდექსი და შემდეგი დადგენილებანი ს. ს. ცაკ-ის აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოღებული დღემდე არ ყოფილა გარდა სისხ. სამ. კოდ. 1928 წ. გამოცემისა. აფხაზეთის ცაკ ის მიერ გამოცემულია 1925 წ. მიწის კოდ. სამ. და სისხ. სამ. მატერიალური კოდექსები, რაც ეწინააღმდეგება საქ. კონსტიტუციას და სრულიად საქართველოს ცაკ-ის № 90, 51 და 23 დადგენილებებს აგრეთვე არც ერთი ცვლილებანი შემდეგ ამ კოდექსში შეტანილი არ ყოფილა რომლის გამო აფხაზეთის კოდექსებს და საქ. კოდექსებს შორის ადგილი აქვს მთელ რიგ წინააღმდეგობას და ზოგიერთი მუხლები აფხაზეთის კოდექსების სრულიად ეწინააღმდეგება საერთო კანონმდებლობას და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას. ასეთია მაგალითად მიწის კოდექსის 23 მუხ. არ არის შეტანილი დამატება, რომლითაც აკრძალულია მიწის გაჩუქება ან დაგირავება, არ არის დაწესებული ვადა მიწის იჯარით გაცემისა არ არის აკრძალული ყოველ შემამულებებისათვის დაქირავებული შრომით სარგებლობა, თუ კი ის შრომის უნარს მოკლებული არ არის. აგრეთვე აფხაზეთის მიწის კოდ. 66 მუხ. ძალით ფიზიკურ შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებით შრომას სახელმწიფო და კერძო საწარ-



მოში და დაწესებულებაში ეტოვება სრული ნორმა საქ. მიწის კოდ. 67 მუხ. ეტოვება  $1/2$  ნორმა აფხაზეთის სამოქ. კოდ. 418 იუხ. ძალით გაფართოვებულია მემკვიდროებათა უფლება. იქ ასეთი უფლება აქვთ მისი კმაყოფაზე არამყოფ და—ძმას.

არ არის შეტანილი დამატება სამ. სამ. კოდ. 60 მუხ. შენიშვნა, რომლითაც სახელმწიფო დაწესებულებას უფლება არა აქვთ ჩამოართვან კეთილ-სინდისიერ შემძენლებს სახელმწიფო და ფასიანი საწარმოამდგენლო ქალაქი, რომლის ტრიალი ნება დართულია საბჭ. სოც. რესპ. იმ საბაბით, რომ წინათ ის დაკარგული იყო და სახელმწიფოს ან საწარმოს დაწესებულებას ეკუთვნოდა. არ არის შეტანილი დამატება ამავე კოდ. 22 მუხ. სახელმწიფო ქონების გასხვისების წესისა და პირობის შესახებ. არ ყოფილა შეტანილი და შეცვლილი მთელი რიგი დამატებითი შესწორებების, სხვა მუხლებში. ასეთია მდგომარეობა სისხლის სამართლის კოდექსისა ახალ 1928 წ. კოდ. შემოღებამდე. მანამდე არსებული სისხ. სამ. კოდ. მიხედვით. თუ კი რომელმე მოქალაქემ აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული აღნიშნულ კოდ. 192 მუხ. ნიშნებით, მაგალითად მიითვისა სხვისი ქონება მას მოვლის სოც. დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე და ასეთი საქმეები თანახმად 2/IX—27 წ. საკავშირო ცაკ-ის ამნისტიით ისპობა, ხოლო, თუ კი ასეთი რომელიმე მოქალაქემ ჩაიდინა მოსახლერე მაზრაში, მაგ. ზუგდიდში ამ მოქალაქეს მოელის 2 წელი და მის საქმეს იგივე ამნისტია არ სპობს.

არა ნაკლებ საინტერესოა რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების და გაგების საკითხი. უპარველეს ყოვლისა აფხაზეთის სასამართლოს და იუსტსახკომის ორგანოები, როგორც ცენტრში, აგრეთვე მაზრებში მეტად სუსტია კანონების ცოდნისა და იურიდიული კვალიფიკაციის მხრივ, რასაც მოწმობს მთელა რიგი სხვა და სხვა ხასიათის დანაშაულობის საქმეები, არა სწორი კვალიფიკაცია, როგორც სახ. სასამ., აგრეთვე ზემდგომი ორგანოების მიერ. მაგალითად აფხაზეთში შეურაცყოფას სიტყვით ან ქმედობით და ფიზიკური ტკივილების მიყენებას აქვს ადგილობრივ მნიშვნელობის ხასიათი და ის გადადის შურისძიებაზე—სისხლის აღებაზე და ასეთი ქმედობაზე სისხ. სამ. კოდ. სათანადო მუხ. სოც. დაცვის ღონისძიების სანქცია გაძლიერებულია, თანახმად აფხაზეთის ცაკ-ის დადგენილებისა, მაგრამ ყველა საქმეებს ასეთი ხასიათისა უკეთდება კვალიფიკაცია, როგორც ქმედობით შეურაცყოფა ს. ს. კოდ. 174 მუხ. ახალი რედაქციით—(178 ძველი). თუ კი მაგრად გცემეს მაშინ არის ქმედობით შეურაცყოფა ასე მარტავს უმალღესი სასამ. და ყველა სასამართლოები და აფხაზეთის პროკურატურაც. კერძო პიროვნების ქონების მითვისებას იქ კვალიფიკაციას უკეთებენ, როგორც სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მითვისებას ს. ს. კოდ. 122 მუხ. (ძველი რედაქციით), ცეცხლის მსროლელ იარაღით პიროვნებს დაჭრას სთვლიან სხეულის განზრახ დაზიანებათ და სხვა შემოაღნიშნული უსწორო კვალიფიკაციას აქვს არა ერთეული ხასიათი არამედ ასეთის გაგება დანაშაულობის ყველა საქმეზე შემოღებულია როგორც პრაქტიკა. არსებითად მათი საქმიანობა რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცებისათვის და ბრძოლა ყოველგვარ დანაშაულობასთან ძლიერ მოისუსტებს და რევანონიერება ირღვევა იმ



ორგანოების წარმომადგენლების მიერ, რომლებზედაც დაკისრულია ასეთის ცხოვრებაში გატარება. მილიციის ორგანოებში ძიმუშავეების მბრძან აფხაზეთში აღდგილი აქვს უსაზღვრო თავაზდილობას და ყოველგვარ კანონიერების დარღვევას. ამის დასადასტურებლად არსებობს უამრავი ფაქტები, მაგალითისათვის მომყავს შემდეგი შემთხვევები: საქმე გუმისტის მილიციის თანამშრომელ ისიდორე სიჭინავას ბრალდების შესახებ, რაც გამოიხატა გლეხებზე ცხენის ჩამორთმევაში საჯაროთ გლეხებას მათრახათ ცემაში მანადე, სანამ სისხლი არ წამოსკდათ, შემდეგ მათვის თოფით სროლა და სხვა, რომლისათვის მთელ სოფელი მოითხოვდა ასეთი მხეცისაგან განთავისუფლებას. მის წინააღმდეგ აღძრული საქმე მოსპობილ იქნა. მილიციონერ როგანცემა თოფის გასროლით დასჯრა ბატრაკი სიმნხინი, საქმე მოსპობილია. სოხუმის მე-II უზნის მილიციის უფროსი ფაჩულია და მისი თანაშემწე ამბამ ა/წ. 12 თებერვალს მთვრალი სახით ასტეხეს კაფენიაში დებოში, მიაყენეს სიტყვით და ქმედობით შეურაცყოფა მოქალაქეებს და აფხაზეთის ცაკ-ის წევრ ქალს, (დაპატიმრეს მოქალაქე, რომელმაც გამოესარჩლა შეურაცყოფილ ქალს) 26 თებერვალს ა/წ. ასეთივე სახით ასტეხეს დებოში განაიარაღეს მილიციის და განაპირა ნაწილის თანამშრომლები, რომლებიც იცავდენ წესიერებას, სცემეს კაფენიის მოსამსახურებს, შეურაცყვეს რესპუბლიკის პროკურორი, რომელიც გამოცხადდა წესიერების აღსადგენად და ყოველი ამისათვის სასამართლომ მათ გამოუცხადა საყვედური და მათი მოქმედობა არ სცნო სისხლის სამ. დანაშაულობრივი ხასიათის ქმედობათ.

გულდაუთის მაზრის მილიციაში საქმე ისე არის დაყენებული, რომ ყოველივე თანამშრომელს შეუძლია, ვინც უნდა დაიჭიროს და რამდენი ხანსაც უნდა ჩასვას საკანში და ამაზე პასუხისმგებელი არავინ არის, არც არსად იწერება დრო დაპატიმრებასა და განთავისუფლების და თუ კი თქვენ მოსთხოვთ ოფიციალურ ცნობას, თუ როდის, ვის მიერ და რა საბუთით იქნა ესა თუ ის მოქალაქე დაპატიმრებული პასუხათ მიიღებთ ოფიციალური ნარკვევს, რომ მათ მიერ ასეთი მოქალაქე არასოდეს არ ყოფილა დაპატიმრებული. რას აკეთებს პროკურორი, როგორია მისი ზედამხედველობა? პროკურორიც არ ჩამოურჩება ასეთ საქციელს. გულდაუთის და გალის მაზრის პროკურორი ტარნავა, როდესაც საქმეზე მიემგზავრება, მინდორში იჭერს სხვის ცხენს. კიდევ მეტი, თუ ცხენი ვერ დაიჭირა ავტომობალებს აჩერებს და ვინც არ მოეწონება „ფიზიანომიაში“ მას გადმოსვამს და თვითონ მიემგზავრება, რასაკვირველია „საქმის კაცია“, ქალის მოტაცებასაც ხელმძღვანელობს მილიციის უფროსთან ერთად და მოწინააღმდეგე მხარეებს აპატიმრებს, რათა გაუადვილდეთ ქალის წამოყვანა. ასეთია მოკლეთ კანონიერების დაცვის საკითხი აფხაზეთში. ბრძოლა დანაშაულობასთან ზემოაღნიშნული საბუთებიდანაც შეიძლება ითქვას, შორს არ წასულა და გარდა ამისა არსებობს აუარებელი მასალები, რომ ასეთი თითქმის არ წარმოებულა არავითარ დანაშაულობის მიმართ, მაგალითად, მიუხედავათ იმისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეურაცყოფის, და ცემას აფხაზეთში აღვილობრივი მნიშვნელობის ხასიათი აქვს და სისხლის აღებაზე გადადის. ყველა საქმეები ასეთი დანაშაულის ხასიათისა მთელი 100 პროც. მოსპობილია, მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეები მოსპობილია აღმასკომის დადგენილებით და ცალკე პირების განკარგულ-

ბით, 4 - 5 ათას მანეთის გაფლანგვის საქმე წლობით უმოძრაოთ დევს 1000 მან. გამფლანგველი პირობით არის გასამართლებული. კოოპერატორი, რომელმაც სახელმწიფოს მიაყენა ათეულ ათასობით ზარალი თავის დაუდევრობით, ხელისუფლებას ბოროტად გამოყენებით გასამართლებულ იქნა და აეკრძალა ერთი წლით სამეურნეო დარგში მუშაობა, ხოლო დაინიშნა კოდორის და ვალის მაზრის პროკურორად. საკასაციო ინსტანცია უმაღლესი სასამართლოსი მთელი რიგ საქმეებზე უმცირებს სოც, დაცვის ღონისძიებას სრულიად უმოტივოთ ან და აუქმებს განაჩენებს და ანთავისუფლებს პატიმრებს მხოლოდ ფორმალურ საპ. კოდ. მუხ. აღნიშვნით, ყოველგვარი მოტივისა და მოსაზრებების გარეშე. — განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი ყურადღება მოგვამაგირების — ამბოკარის საქმეებს არ ექცევა მათი უსაზღვრო ექსპლოატაციის და პიროვნების უფლების შელახვის წინააღმდეგ არავითარი ბრძოლა არ წარმოებს, ხშირია შემთხვევა, როდესაც ბატრაკს აყენებენ შეურაცყოფას, სცემენ კიდევაც დამკირავებელნი, მაგრამ უმეტესი ასეთი ხასიათის საქმეები სასამართლომდის არ მიდის და მილიციის ორგანოებში ქარწყლდება, ისე, რომ კვალიც არ რჩება, სასამართლოში შემოსული საქმეები წლებების გასვლის შემდეგ ისპობა, ან ამნისტიით, ან მიზანშეუწონლობისა გამო. ასეთია მოკლეთ სურათი აფხაზეთის კანონიერებისა და მისი განმტკიცების.

ზემო აღნიშნული გარემოების გამოსასწორებლად და რევეკანონიერების დასაცავად აფხაზეთის საბჭოთა სოც. ზესპუბლიკის ორგანოების მიერ მიღებულია სათანადო ზომები. აგრეთვე კოდექსების გადასამუშავებლად და კონსტიტუციის 88 მუხ. ძალით საქართველოს კოდექსების შემოსაღებად სწარმოებს მასალების დამუშავება.

ვლ. ლუგვაძე

## საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების კოლიტიკის პრინციპები და მეთოდები\*)

(პენიტენციალური — შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაკების სრულიად საკავშირო თათბირის მასალების მიხედვით).

### 1. ძირითადი საფუძვლები.

ამას წინაღ მოსკოვში დაამთავრა თავისი მუშაობა პენიტენციალურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა. თათბირი ხელმძღვანელობდა საბჭოთა პენიტენციალური პოლიტიკის იმ განსაკუთრებულ პრინციპებით რომელიც მდგომარეობს კანონის დამრღვევთა გამოსწორებაში და შრომით ცხოვრების პირობების შეჩვევაში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუმცა არსებითად მომქმედი კანონმდებლობა შეეფერება დანაშაულობრივობასთან ბრძოლის ამოცანებს. მა-

წერილს ვაოავსებთ ანგარიშის სახით.  
 რედაქცია.



გრამ მაინც საჭიროა მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანა, რომლის გარეშე შეუძლებელია საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის საფუძვლების ცხოვრებაში გატარება.

იმ მიზნით, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ძველი წესწყობილების ნაშთებს და ჩვენი კლასობრივი მტრების დანაშაულობრივ მოქმედებას და აგრეთვე სოციალურად საშიშ ელემენტებს, რომელთაც დაუკარგავს თავისი კლასობრივი სახე, სასამართლო შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობას უნდა ჰქონდეს საკმაოდ მკაფიოდ გამოსახული ხასიათი სახელმწიფოებრივი იძულებისა.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ თავისუფლების აღკვეთას, როგორც იძულებითი ზეგავლენის ერთი სახეს, თამამად შეუძლიან განახორციელოს აღმზრდელობითი ამოცანები საზოგადოების მერყევ ელემენტების მიმართ, თუ რასაკვირველია, სავსებით იქნება შესრულებული ჩვენი შრომა-გასწორების კოდექსით გათვალისწინებული რეჟიმის ყველა წესი.

თათბირმა განიხილა საკითხი შრომით-გამასწორებელ მუშაობის პერსპექტივების შესახებ ჩვენს საპატიმრო ადგილებში და აუცილებლად სცნო არსებითი რეფორმების გატარება ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარგში. სასამართლოს განაჩენები „თავისუფლების აღკვეთის ვადების აფთიაქისებური აწონ-დაწონის და ფიქსაციის“ სისტემა ვერ გამართლდა.

პრაქტიკით მიღებული „ვადამდე-პირობითი განთავისუფლების“ და აძნისტიების შეფარდება შეიცავს ფარულად (პრაქტიკაში) განუსაზღვრელი განაჩენების პრინციპს. იგი არ არის ჯერჯერობით მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მან ვერ ჰპოვა ჯერ თავისი ოფიციალური გამოხატულება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილებში და ვერც შრომა-გასწორების კოდექსის სათანადო მუხლებში.

თათბირის აზრით მხოლოდ სისხლის სამართლის მომქმედი კანონმდებლობის და სოციალური დაცვის ღონისძიებათა მთელი მომქმედი სისტემის—არსებითი რეფორმის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს საკითხი ორი ძირითადი კატეგორიის დამნაშავეთა შესახებ. ერთის მხრივ, პროფესიონალური რეციდივისტებისა და მეორეს მხრივ შემთხვევით დამნაშავეთა შესახებ.

პირველ კატეგორიის დამნაშავეთა მიმართ საჭიროა განაჩენების პრინციპზე აგებული კომბინაციური სისტემა, როგორცაა: სპეციალურ შრომითი კალონიების დაარსება შორეულ ადგილებში და ხანგრძლივი იზოლიაციის შეფარდება სპეციალურად ამისათვის შექმნილ დაწესებულებებში შრომის გაღრმავებული ორგანიზაციით; რაც შეეხება მცირე ვადით მსჯავრდადებულ შემთხვევით დამნაშავეებს, თათბირმა სცნო, რომ მათ როგორც საერთო წესი, არ უნდა ეფარდებოდეს თავისუფლების აღკვეთა. ამ კატეგორიისათვის უფრო მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, პირველ რიგში იძულებითი მუშაობა დაუპატიმრებლად ან სამუშაოდან მოხსნა სხვადასხვა ვადით, ამორჩევით თანამდებობის დაქვრის უფლების ჩამორთმევა და ამა თუ იმ პროფესიის აკრძალვა, მიმოსვლის უფლების შეზღუდვა (ამა თუ იმ ადგილიდან წასვლის აკრძალვა, ან განდევნა განსაზღვრული ვადით), პროფესიონალური კავშირიდან გამორიცხვა და სხვ.

ამხანაგური სასამართლოების და საზოგადოებრივი ზეგავლენის ლონისძიებათა შეფარდებით (გაკიცხვა).

აღნიშნულ საკითხის განხილვის დროს თათბირი უმთავრესად ეყრდნობოდა შრომის-გასწორების დაწესებულებათა მრავალ წლების მუშაობას, რომლის შედეგები ნათელჰყო თათბირის მონაწილეთა აზრთა გაცვლა-გამოცვლამ, იმ ხალხის, ვისაც მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ მიანდო დამნაშავეის გამოსწორების და არა მისი დასჯის საქმე.

## II. დამნაშავეის და დანაშაულმბრძოლის უახვამლა.

სანამ შეუდგებოდეთ გამასწორებელი პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკულ შეფარდებას ცალკე დამნაშავეის ან დამნაშავეთა ჯგუფის მიმართ, უნდა ვეცადოთ გამოვძებნოთ უფრო მიზანშეწონილი გზა მათი შეფარდებისათვის. საჭიროა გვახსოვდეს ის სხვადასხვაობა და მრავალფეროვნობა, რომელიც არსებობს როგორც დამნაშავეთა, ისე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის. მათი შესწავლა გვაძლევს მეტად ორგინალურ და მდიდარ მასალას, რომელიც დიდ ინტერესს და ღირებულებას წარმოადგენს როგორც მეცნიერებისათვის, ისე ფართო საზოგადოებრივობისათვისაც.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც წარმოშობდნენ და ხელს უწყობდნენ დანაშაულმბრძოლას, მაგრამ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ ეპოქაში მაინც დარჩა სხვადასხვაგვარი ფაქტორები, რომლებითაც საზრდოობს დანაშაულმბრძოლა. „პროლეტარული დიქტატურის პირველ ეტაპებში დანაშაულმბრძოლა, ერთის მხრით წარმოადგენს დამხობილი კაპიტალისტური წესწყობილების მემკვიდრეობას, მეორე მხრივ იგი აიხსნება თვით პროლეტარული რევოლუციის ეკონომიური დანაკლისით, რომელიც მით უფრო მეტია, რაც უფრო ძლიერია დამხობილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობა“ (საბჭოთა კრიმინალისტების მიმართვა რევოლუციონური მარქსისტ-კრიმინალისტებისადმი).

რა სახითაც არ უნდა მოგვევლინოს დანაშაულმბრძოლა, მისი მანებელი როლი ჩვენი საზოგადოებისათვის მეტად საგრძნობია: ამიტომ მასთან წარმატებითი და რაციონალური ბრძოლისათვის საჭიროა ყოველმხრივი შესწავლა ყველა იმ მოვლენისა, რომელშიც იგი გამოიხატება ე. ი. საჭიროა დამნაშავეისა და დანაშაულმბრძოლი ქმედობის შესწავლა.

დიდი სამსახური გავცივია ამ საქმეში 1925 წ. რსფსრ.-ში დაარსებულმა დამნაშავეისა და დანაშაულმბრძოლის შემსწავლელმა სახელმწიფო ინსტიტუტმა. თუ დასავლეთ-ევროპის ქვეყნების კრიმინალისტურ კაბინეტებში და ლაბორატორიებში მთავარი ყურადღება ექცევა დამნაშავეის პიროვნებას მისი ინდივიდუალური თვისებებით, დამნაშავეისა და დანაშაულმბრძოლის შემსწავლელ სახელმწიფო ინსტიტუტი მთავარ ყურადღებას აქცევს დანაშაულმბრძოლის, როგორც მასიური მოვლენის შესწავლას. ამიტომ თვით მეთოდიც, რომლითაც სარგეალობს ინსტიტუტი თავის მუშაობაში სრულ სხვა ხასიათისაა, მაგალითად: გაფლანგვისა და გაფლანგველების, ხულიგნობისა, ბანდიტიზმის და სხვ. შესწავლა მასიური გამოკვლევებით; დაწვრილებით იქნა გამოკვლეული ამ დამნაშა-



ვეთა როგორც წარსული, ისე თანამედროვე ცხოვრების პირობები, მათი უფრო ცხოვრება, სოციალური შემადგენლობა, დანაშაულის ჩადენის მიზეზები, ას პირობები, რომლებშიაც მოხდა დანაშაული და სხვ. ამ გზით ინსტიტუტმა შესძლო მთელ რიგ დასკვნების გამოტანა, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ავხსნათ აღნიშნული მოვლენების მიზეზები და გამოვიფიქროთ ის ღონისძიებები, რომლებმაც უნდა შექმნან პირობები დანაშაულობრივობის შემცირებისა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პატიმარის ინდივიდუალური თვისებების შესწავლას. პატიმარების განაწილება საპატიმრო ადგილებში, მათი კლასიფიკაცია, შრომითი პროცესების ორგანიზაცია და სხვ. ამგვარად ხდის პატიმარის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლის აუცილებლობას. პენიტენციალური გამასწორებელი ზეგავლენის ინდივიდუალურმა მეთოდმა, რომელიც საბჭოთა შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს, ჰპოვა თავისი გამოხატულება საკავშირო რესპუბლიკებში გამოცემულ შრომა-გასწორების კოდექსებში (რსფსრ-ის უკრაინის შრ. გამასწ. კოდ. მე-33 მუხლი და საქართ. შრ. გასწ. კოდ. მე-6 მუხლი). მაგრამ პატიმარის ინდივიდუალური თავისებურებათა გამორკვევა მეტად ძნელ და რთულ პროცესს წარმოადგენს. პატიმარის პიროვნების დეტალურად გაცნობა გულისხმობს მის გამოკვლევას სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და ფსიქიატრიის მიერ—მასასადამე, აშკარა ხდება სპეციალური სამეცნიერო ძალების და მათი (რთული) მუშაობისათვის საჭირო აპარატების, მოწყობილობის და სხვ. აუცილებლობა.

სრულიად საკავშირო პენიტენციალურ თათბირს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო არ მიექცია ფრიად სერიოზული ყურადღება ამ საკითხისათვის (ეს საკითხი თათბირის დღის წესრიგის მეორე საკითხი იყო, მოხსენებას აკეთებდა პროფესორი გერნტი), ამ საკითხზე გამოტანილ თავის რეზოლუციაში თათბირმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ დამნაშავისა და დანაშაულობრივობის შემსწავლელ საბჭოთა დაწესებულების მუშაობა ვერ არის შეთანხმებული, და საჭიროდ სცნო აღნიშნული მუშაობის გაერთიანება ამ ახალ დაწესებულებათა გეგმაშეზომილ განვითარების და პატიმართა ამა თუ იმ კატეგორიისადმი მიდგომის ერთიანი მეთოდის გამომუშავების პრინციპის საფუძველზე.

ამ რიგათ, თათბირმა პრაქტიკა მეცნიერებას დაუკავშირა და სცნო, რომ ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე რაციონალური ბრძოლა დანაშაულობასთან. ეს სავსებით დაამტკიცა ამ ხაზით მიღებულმა ხანგრძლივმა გამოცდილებამ.

(გაგრძელება იქნება)

# იურიდიული დახმარება

კითხვა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ამხანაგების სალიკვიდაციო კომისიას დაკისრებული აქვს, განსაზღვრული თანხის გადახდა, გადაწყვეტილების გამოტანის დროს ლიკ. კომისია არსებობდა, გადახდევინების მიქცევის დროს კი იგი გაუქმებულია. ამხანაგობის წესდების მეშვიდე პარაგრაფის თანახმად ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ ამხანაგობის ვალისათვის განსაზღვრულ ფარგლვაში (შენატანი პაის ერთი ოცად). რათა გადახდევინება მიქცეული იქნას ამხანაგობის წევრების ქონებაზე თანახმად მათი წესდებისა, საჭიროა — გადაწყვეტილების განმარტება, თუ სასამართლოს მიერ გამოტანა ხელახალი გადაწყვეტილებისა (საქმის ხელმოკრედ განხილვა) ამხანაგობის წევრების მიმართ.

გ. ორჯონიკიძე.

პასუხი

როგორც სჩანს საქმის გარემოებიდან, გადაწყვეტილება გამოტანილი ყოფილა ამხანაგობის საქმეებზე დაარსებულ სალიკვიდაციო კომისიის წინააღმდეგი ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოვალეობა გადაუხადოს მოპასუხეს ესა თუ ის თანხა დაკისრებული ქონების განსაზღვრულ პირს (ფიზიკურს, თუ იურიდიულს). თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ურყევ დებულებას, რომ გადახდევინება მიიქცევა იმ პირის ქონებაზე, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მოვალეთ იქნა ცნობილი, უნდა ვაღიაროთ, რომ გადახდევინების მიქცევა სხვა პირის, თუ პირების ქონებაზე, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალის გადახდა არ ეკისრებათ, იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი (მოვალე პირის სხვა პირით შეცვლა გადაწყვეტილების ასრულების პროცესში). ერთი პირის, როგორც მოპასუხის, მეორე პირით შეცვლას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ საქმის გარჩევის დროს გადაწყვეტილის გამოტანამდე, რადგან ამისათვის საჭიროა არა მარტო იმის გამოკვლევა, არის თუ არა სხვა პირი მოვალე მოსარჩლეს გადაუხადოს ვალი, არამედ რა ფარგლით განისაზღვრება ეს პასუხისმგებლობა. ამ დებულებას ვერ შეარღვევს ის გარემოება, რომ ამხანაგობის წევრ პასუხისმგებლობის ფარგლები წესდებით გენისაზღვრება, რადგან ეს კიდევ არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის რაოდენობას, თუ კი მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამხანაგების შენატანი შეიძლება იყოს სხვა და სხვა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა ვთქვათ, რომ ამისათვის, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ამხანაგებს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ვალისათვის რისთვისაც პასუხს აგებდა თვით ამხანაგობა, საჭიროა მათ წინააღმდეგ ახალ სარჩელის აღძვრა.

# კანონმდებლობის მიმოხილვა

1928 წ. დეკემბრის 1-დან დეკემბრის 15-მდე.

## ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა.

### სახელმწიფო წყობილება

ამ.-კავკ. ს. რ.-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან ძირითადი დეფიციტიანი საამშენებლო მასალის გამორკვევისა და განაწილებისათვის დაარსებული მუდმივი საუწყებათაშორისო საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ (ს. კ. ს.-ის 1928 წ. ნოემბრის 15 დადგ. № 78, — „ზარია ვოსტ.“ № 280, დეკემბრის 5).

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახკომთან არსდება მუდმივი საუწყებათაშორისო საბჭო ძირითად დეფიციტიან საამშენებლო მასალაზე (დუღაბი, თუნუქი, რკინის კოჭები, ხე-ტყის მასალა, შუშა, აგური და სხვ.) მოთხოვნილების და ამ მასალის მარაგის გამოსარკვევად განაწილების მიზნით.

აღნიშნული საბჭო შესდგება თავმჯდომარისაგან, რომელსაც ნიშნავს ა-კ. ვაჭრობის სახკომი, და თითო წარმომადგენლისაგან: ა-კ. ვაჭრობის სახკომისა, ს. ს. რ. კავშირის გზათა და სამხედრო-სახლგო სახკომების რწმუნებულების სამმართველოებისა, სატენიკო-საამშენებლო კომიტეტისა ა-კ. ეკონსაბჭოსთან, ა-კ. საბინაო კოოპერაციისა და ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ეკოსაბჭოებისა.

საბჭოს დაეკისრება ადგილობრივი და შემოზადული ძირითად საამშენებლო მასალის ფონდებისა და ამ მასალაზე მოთხოვნილების გამორკვევა და მასალის განაწილება.

საკითხები საბჭოში სწედება უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება, თუ განსაკუთრებული აზრი არ არის შეტანილი, დაუყოვნებლოვ გატარდება ცხოვრებაში იმ დაწესებულებათა მიერ, რომელნიც წარმოადგენენ არიან საბჭოში. გადაწყვეტილება შეიძლება სამი დღის ვადაში განსაჩივრებულ იქნეს საბჭოში წარმოდგენილ დაწესებულებათა მიერ ა-კ. ვაჭრობის სახკომის კოლეგიაში.

მუდმივ საუწყებათაშორისო საბჭოს არა აქვს თავისი აპარატი, — იგი სარგებლობს ა-კ. ვაჭრობის სახკომის აპარატით.

### შრომის კანონმდებლობა

შრომის კანონთა კოდექსის შეცვლასა და შევსებას შესახებ (ც. ა. კ.-ის 1928 წ. ნოემბრის 26 დადგ. — „ზარ. ვოსტ.“ № 282, დეკემბრის 7).

გამოცემულია თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ.-ისა და ს. კ. ს.-ის 1928 წ. აგვისტოს 29 დადგენილების „შრომითი კონფლიქტების შემრიგებელ-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების დამტკიცების შესახებ (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1928 წ. № 56, მუხ. 494).

მომქმედ შრომის კანონთა კოდექსში შეტანილია შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. 49 მუხლში ამოშლილია ამ მუხლის ბოლო, სადაც გათვალისწინებული იყო კავშირის მოთხოვნის საკონფლიქტო წესით განსაჩივრების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც დამჭირავებელი არ დასთანხმება, აღნიშნულ მოთხოვნას.

2. 93<sup>1</sup> მუხ. (ა.კ. ც. ა. კის და სკ ს-ოს 1928 წ. იანვრის 30 დადგ.,—კან კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 28) შეიცვალა იმ მხრივ, რომ კონფლიქტის განხილვის შესახებ შემფ.-საკონფლ. კომისიაში განცხადების შეტანისათვის დაწესებულია ახალი ვადები: დათხოვნის საქმეზე 14 დღე-ზედმეტი მუშაობისა—ერთი თვე, ხოლო ყველა დანარჩენ საქმისათვის—სამი თვე (იყო ორი ვადა—სამი წლისა და ექვსი თვისა). გათვალისწინებულია აგრეთვე ვადის გამოანგარიშების წესი.

